# საქართველოს ქალი

645/2
2003



2003

№9-10

ჟურნალი ქალებისა და ოჯახისათვის

მთავარი რედაქტორი
ლია კაკაბაძე

სარედაქციო კოლეგია:

- ნანული შევარდნაძე
- მარიკა ბარათაშვილი
- ნაზი თარგამაძე
- ცინარა ტერელაძე
- (მხატვარი რედაქტორი)
- ირმა ჩოფიკაშვილი
- ნინო ჯავახიშვილი
- მარინე ნაკაიძე

ნანული ბუკია
ტექნიკური რედაქტორი

დამფუძნებლები – ჟურნალ „საქართველოს ქალის" ჟურნალისტები

რეგისტრაციის №06/4 897

გარეკანის პირველ გვერდზე – მაკა ასათიანი – დავით იაკობაშვილის ფოტო.

ჟურნალი გამოდის 1923 წლიდან

რედაქციისაგან შეუკვეთავ მასალებზე ჰონორარი არ გაიცემა

„Sakartvelos Kali"
Georgian Woman. A Magazine for Women





სალომე შენგელიძის ლექსებმა გამაოგნა, სული ამიმაღლა; თითქმის დაკარგული სამშობლო დამიბრუნა. ბედნიერია პატარა სალომე – პოეზიის ქვეყანაში რომ გაბრწყინდება! – ასეთი ბავშვები იშვიათად იბადებიან. არის სიდიადე, რომელზედაც ძნელად უნდა საუბრობდეს კაცი; – ვუსურვებ პატარა გენიოსს – დიდ გზაზე ამაღლებულ სიარულს.

თემურ ჩალაბაშვილი
*პოეტი*

# სალომე შენგელიძე

## რასაცა დასთეს...

თუკი ამქვეყნად იყავი წუმპე,
იმქვეყნად როგორ იდინებ წყაროდ,
თუ ღვარძლი, როგორც შარბათი,
წრუპე,
თუ ეშმას დოლზე ცეკვავ და ხარობ,
როგორ
შეაღებ
სამოთხის კარებს!
თუ აბლაბუდას ოსტატი იყავ,
თუ ქრისტეს სისხლში ისვრიდი თითებს,
ვიბნ გაზელინებს იმქვეყნად თიხას,
ვინ გაქსოვინებს ჭრელ-ჭრულა ჩითებს?..
ამქვეყნად თუკი სხვის სკამზე ზიხარ,
თუ „დრო ატარე" გულის საოხი,
როგორ
შეაღებ
კარებს
სამოთხის?!.

## დიდი დიზაინერი

შემოვიდა აპრილი რია, რია, რიალა,
საოცარი სისწრაფით ჯოხი დაატრიალა,
ჯადოსნური, უბრალო პაპის ჯოხი კი
არა!..
ძილისგუდა კვირტებმა თვალები
დააჭყიტეს,
ლამის სიჩქარისაგან ერთმანეთი
გაჭყლიტეს.
რა უცებ მოიშორეს ხველება და
ანგინა,
ან რა უცებ გამოძვრნენ ზამთრის გძელ
პერანგიდან,
ეს რა საოცრებაა, დაჯერება არ გინდა?!
რა უცებ დაიმშვენეს სამეჯლისო კაბები,
მზეჭაბუკო, ახლა კი მგონი მაგრად
გაები,
ამდენ მზეთუნახავში რომელ ერთს
ამოარჩევ,
ფერთა ეს საოცრება დააბნევდა
ვერსაჩეს.
. . .
ჯადოსნურად მოირგო ამერი და იმერი,
იღიმება აპრილი – დიდი დიზაინერი...

## ზღაპრული ქოშის პატრონი

გადედოფლება სურდა თებერვალს
და ამიტომაც მოიჭრა ცერი,
მარტს ხან აკრთობდა, ხან აოცებდა
მზის სხივი უნდო და ალმაცერი...
სატრფოს ეძებდა შუკა და შუკა
ზღაპრული ქოშით მზე – დიდი პრინცი,
ამ პაწაწინა ფეხსაცმლის ზომა
მხოლოდ კონკია აპრილმა იცის...

## სარკე

*(ვუძღვნი დიდ ილიას)*

თუ გინდა გეცვას კაბა დედოფლის,
თუნდ უნიფორმა გწვავდეს მოახლის,
სარკეს არ უყვარს იგავ-არაკი,
სარკე სიმართლეს პირში მოგახლის...
სარკეს არ უყვარს იგავ-არაკი
და... ამიტომაც სარკე არ უყვართ.

# გზა

ეს სულ ახლახანს მოხდა. ბატონი პრეზიდენტი ფოთში ჩავიდა და მდინარე კაპარჭინაზე 224-მეტრიანი ახალი ხიდი მოინახულა. არადა, შემოვლითი ტრასა მთლიანად 1375 მეტრია. ეს ის ფოთია, ჩვენი პატარა ქალაქი, რომელიც უძლებს დიდ დატვირთვას და ტრანსპორტს დასავლეთ საქართველოდან აღმოსავლეთისაკენ შეუფერხებლად ატარებს. გზა დროთა მანძილზე ცვდება და ინგრევა. თუ ახალი არ შეენაცვლა ან არ შეკეთდა, წაიშლება.

„დიდ აბრეშუმის გზაზე“ რომ ამდენს ვლაპარაკობთ, გზების გარეშე არავითარი აბრეშუმის გზა არ გვექნება“ – ეტყვის ზეიმზე მოსულ თანამემამულეებს პრეზიდენტი, – „შესაბამისად არც შემოსავლები იქნება იმდენი, რამდენსაც ვილებდით. ბათუმის და ფოთის ნავსადგურები დატვირთულია. ფოთი 5 მლნ ტონამდე ტვირთს ამუშავებს. ეს ყველაფერი უზარმაზარი შემოსავალია. ბიუჯეტი მწირია, რადგან სხვა დარგებში არ გვაქვს ასეთი შემოსავლები. ის, რაც დაკავშირებულია „დიდ აბრეშუმის გზასთან“, – რკინიგზა, საავტომობილო ტრანსპორტი, ავიაცია, კომუნიკაციები – მომგებიანია და საერთო ანგარიშით 300-350 მლნ ლარი შემოაქვთ ბიუჯეტში“.

მართლაც, მომგებიანია, შემოსავლიანია. და შენდება სხვა გზებიც დიდი პროექტისათვის, თუნდაც, ქუთაისიდან ასასვლელი გზა, რომელსაც მალე ბოლომდე მიიყვანენ და ქუთაისის ცენტრზე აღარ გაივლის ასობით მანქანა.

გზა.

იგი ისეთივე აუცილებელია, როგორც ჰაერი, მზე, წყალი. უგზოდ კაცი შეიძლება დაიკარგოს, დაიღუპოს. გზას მივყავართ მიზნისკენ, სიცოცხლისკენ. დალოცვილი არიან გზის გამკვალავნი, დამპროექტებელნი, მშენებელნი.

გზა.

უგზო-უკვლოდ დაკარგული კაცის ამბავი ხომ გაგიგონიათ. ამიტომ ჩვენც გზას მივხედოთ, იმას, რომელიც „დიდი აბრეშუმის გზასთან“ დაგვაკავშირებს.

უგზოდ კაცი არ ვარგა, არც ქვეყანა.

საქართველოში გზების მშენებლობაა გაჩაღებული.

ამასწინათ ბათუმში გახლდით. ბოტანიკურ ბაღთან გზის ის მონაკვეთი ვნახე, რომლის მშენებლობაც ისევ „დიდ აბრეშუმის გზას“ უკავშირდება.

ამაზე ჩვენი კორესპონდენტი თამარ ნინიძე უკეთ მოგიყვებათ.

**ლია კაკაბაძე**

# გზა – სიცოცხლისა

გზა საყვარელ ადამიანებს გვაშორებს და გვახვედრებს. ბათუმისკენ გამგზავრებულები მწვანე კონცხისა და ციხისძირის უღელტეხილებზე გავლისას რამდენჯერ დავმტკბარვართ საოცარი ხედით. 1965 წლიდან მოყოლებული ამ გზას, ვინ მოსთვლის, რამდენი მგზავრი უნახავს. გზის ისტორიები შეიძლება კიდეც ახსოვთ აქვე, გზისპირას მჭიდროდ დასახლებულ მაცხოვრებლებს. აქ განშორებულან შეყვარებულები, და პირიქით, ოჯახური კერიდან მოტაცებული ქალი წამოუყვანიათ ახალი ცხოვრების დასაწყებად.

დღეს საერთაშორისო მნიშვნელობის სენაკი-ფოთი-ბათუმი-სარფის საავტომობილო გზა სახეს იცვლის. სპეციალისტების აზრით, ბათუმი-ქობულეთის 49 კმ. სიგრძის მონაკვეთი თავისი ტექნიკური პარამეტრებით ვერ აკმაყოფილებდა ავტოტრანსპორტის უსაფრთხო მოძრაობის საერთაშორისო კატეგორიის გზისთვის დაწესებულ ნორმებს. ამიტომ აჭარის ავტონომიურმა რესპუბლიკამ საკუთარი ბიუჯეტიდან დააფინანსა ტექნიკური უნივერსიტეტის ბათუმის ფილიალის მეცნიერ-მუშაკებისა და საავტომობილო გზების სპეციალისტების ფართო წრის, ასევე ეკონომისტების მიერ შემუშავებული I კატეგორიის ჩქაროსნული ავტომაგისტრალის მშენებლობის პროექტი. მას აჭარის ხელისუფლებასთან გაფორმებული კონტრაქტით ორი თურქული კომპანია ახორციელებს. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საავტომობილო გზების დირექტორის მოადგილის ვასილ თედორაძის გადმოცემით, ბათუმი-ქობულეთის დამაკავშირებელი ახალი გზის მშენებლობა მოიცავს მახინჯაურიდან ბობოყვათამდე მწვანე კონცხსა და ციხისძირის უღელტეხილებში გაჭრილი ორი პარალელური გვირაბის გაყვანას ჩქაროსნული ავტომაგისტრალისთვის, რაც გამავალ მანქანებს 120 კმ/სთ-ში სიჩქარით მოძრაობის საშუალებას მისცემს. იგი არსებული გზის ალტერნატივა გახდება – 5 კმ-ით შემცირდება და მოძრაობის სიჩქარეს გაზრდის. ეს კომერციული პროექტია. ამიტომ მომავალი წლის ბოლოს ახალი გზით სარგებლობის მსურველებს ფასის გადახდა მოუწევთ.

ამ საქმისათვის აჭარის ბიუჯეტმა 30 მლნ დოლარი გამოჰყო. შენდება მთელი ინფრასტრუქტურა, თავისი სერვისცენტრებით. როგორც გვპირდებიან, ყველაფერი საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად იქნება მოწყობილი. სპეციალისტების გაანგარიშებით, ეკონომიკური გათვლაც გაამართლებს. გზა მოემსახურება თურქეთიდან მომავალ ტვირთბრუნვას და რეკონსტრუირებულ ფოთის პორტს.

ქვეყნისთვის ამ გზას მეტად სერიოზული მნიშვნელობა ენიჭება. იგი ხომ საერთაშორისო კატეგორიის გზის – სენაკი-ფოთი-ბათუმი-სარფის შემადგენელი ნაწილია. სწორედ ამიტომ შარშან მშენებლობის საზეიმო ვითარებაში გახსნას საქართველოს პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძეც ესწრებოდა. როგორც თბილისში აჭარის წარმომადგენლობაში აღნიშნავდნენ, ეს არის „დიდი აბრეშუმის გზის“ და ტრასეკას დასავლეთისა და აღმოსავლეთის დამაკავშირებელი მაგისტრალის ნაწილი.

სექტემბერში, საქართველოს დედაქალაქში აღმოსავლეთ-დასავლეთის უძველესი მარშრუტის მიმართულებით პირველი ტვირთის, „ქარავანის გამგზავრება“ საზეიმო ვითარებაში აღნიშნეს „დაიმლერ-კრაისლერის“ წარმომადგენლებმა. „ტრასეკას პროექტი უმნიშვნელოვანესი და პრიორიტეტულია ვაჭრობის და სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის განვითარების თვალსაზრისით“, – აცხადებდა „დაიმლერ-კრაისლერის“ ვიცე-პრეზიდენტი კლაუს მაიერი. უკვე 10 წელია ეს პროექტი ევროკავშირის ყურადღების ცენტრშია.

„დიდი აბრეშუმის გზის“ იდეა გასული საუკუნის 90-იან წლებში დაიბადა, – იხსენებდა იმ დღეებში საქართველოს პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე და დასძენდა, რომ საქართველოს ტერიტორიის გავლით დიდი მოცულობის ნავთობის ტრანსპორტირებაა შესაძლებელი, უკვე მუშაობს ორი ნავთობსადენი, უახლოეს დროში დაიწყება დიდი გაზსადენის მშენებლობა. ყველაფერი ეს ნიშნავს საქართველოს გავლით კასპიის ზღვის ენერგორესურსების ტრანსპორტირებას თურქეთისკენ და საბოლოოდ ევროპისკენ. „ქარავანის“ პირველი გზობაც სწორედ ამიტომ ევროკავშირის პარტნიორობით ხორციელდება. იგი ქართული სიმღერით დაილოცა. რესპუბლიკის მოედანზე, ღია ცის ქვეშ გამართულ კონცერტს რეჟისორმა დავით დოიაშვილმა და კომპოზიტორმა ნიკა მემანიშვილმა „გზა-სიცოცხლისა“ უწოდეს. აქ შეიკრიბნენ თბილისის ახალგაზრდობა და ჩამოსული სტუმრები, ქართული ესტრადის წარმომადგენლებს კი საშუალება მიეცათ კიდევ ერთხელ ემღერათ საყვარელი დედაქალაქის სიყვარულზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა



# დიანა

*მისი მიზანია დედის ანდერძის აღსრულება: მოუაროს მამას, აღზარდოს შვილები, ემსახუროს აჭარას, ხალხს.*

**დღევანდელი ნომრის სტუმარია მზიური ბათუმის შვილი დიანა აბაშიძე. ჩვენი შეხვედრა მაგული გოგიტიძე-აბაშიძის დაბადების დღისადმი მიძღვნილ „მონატრების“ სევდიანი ღონისძიების დღეს შედგა.**



დედა-შვილი დიანა და გიორგი

## მშობლები

**– დიანა, როგორ იხსენებთ ბავშვობას, გეხმარებოდათ თუ გაბრკოლებდათ საზოგადო მოღვაწის ოჯახის შვილობა?**

– არასოდეს მიგრძვნია საკუთარი გამორჩეულობა. მაშინაც კი, როცა მამის ღვაწლი აღიარეს, ყოველთვის ვიცოდი, საიდან მოვდივარ და რა მევალება. თბილისში დასავლეთ ევროპული ენების ფაკულტეტზე სწავლისას მამის მოთხოვნებს მკაცრად ვიცავდი. ოჯახისგან მოშორებით ცხოვრება პირველად ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტს კალიფორნიის შტატის „ფუთჰოლ კოლეჯში“ ინგლისურის მეორე ენად შემსწავლელ სექციაში წარმატებით ჩაბარების შემდეგ მომიწია. მახსოვს, მისაღები გამოცდების ტესტი 83%-ით შევასრულე, რაც საკმაოდ მაღალ მაჩვენებლად აღიარეს. ასე რომ, სწავლების პირველივე თვეს კოლეჯის გამოცემაში ჩემზე, როგორც გამორჩეულ სტუდენტზე, სტატია დაიბეჭდა. სხვათა შორის, იქ პირველი ქართველი ვიყავი. სწავლა და ურთიერთობა ძირითადად სხვადასხვა ქვეყნიდან ჩამოსულ სტუდენტებთან მიწევდა. 6 თვის თავზე მიღებული დიპლომით სტენდფორდში სწავლის გაგრძელების საშუალება მომეცა. მაგრამ სამშობლოსთან და ოჯახთან დიდი ხნით დაშორება გამიჭირდა, ამიტომ ამ პერსპექტივაზე უარი ვთქვი.

**– ჩვენ მშობლებზე ვსაუბრობთ, ამიტომ გავკადნიერდები და გკითხავთ, როგორი მამაა ბატონი ასლანი?**

– ამ შეკითხვაში თანამდებობას მნიშვნელობა არა აქვს. ყველასთვის მამა მამაა – თბილი და მზრუნველი. გადმოცემით ვიცი, როდესაც დავბადებულვარ, პირველი გოგოს შეძენა წყენია. მაგრამ შემდეგ ჩემს თავს არავის ანდობდა. ძალიან შევუყვარდი, ჩვილს თვითონ მივლიდა. ისე რომ, 15 დღის ბავშვი გამომაწყო და მეუღლის მშობლებთან ქობულეთში სანახავად ჩამიყვანა. ცრურწმენის არასდროს სჯეროდა, თუმცა სანათესაო საქციელით განცვიფრებული დატოვა.

ჩვენს შორის განსაკუთრებული კავშირია. ხშირად ამომიცვნია შეხვედრებზე, როდესაც მამა რაღაცას ფარავდა, მისი სურვილი.

დედა მასწავლიდა: მამა დააფასე, გიყვარდეს, სახლში მოსულს ფეხზე შემოეგებეო. დედისგან მომდინარეობს ისიც, რომ ოჯახის წევრები ერთმანეთს უბატონოდ არ მივმართავდით. არაფერი ამიხსნია, თუმცა ჩემი ბიჭებიც ბაბუას თქვენობით მიმართავენ.



დიანა მეუღლესთან ერთად

**– როგორ იხსენებთ დედ-მამის ურთიერთდამოკიდებულებას?**

– ასეთი სიყვარული და ურთიერთგაგება არსად მინახავს. მგონია, არასდროს გამეორდება. წარმოიდგინეთ, მათი შეკამათებაც არ მახსენდება. კრიტიკულ მომენტებში დედას მამის ხელზე მოფერება და საალერსო მიმართვა „ჩემო ცაცუ“ ჰყოფნიდა უთანხმოების მიზეზი დაევიწყებინა.

**– ამ დღეებში ბათუმში რა ღონისძიებას ჰქონდა ადგილი?**

– დედისადმი მიძღვნილი საღამო შედგა. მოგეხსენებათ, აჭარაში საზოგადოებრივ საწყისებზე თავის საქველმოქმედო საქმიანობას მაგული გოგიტიძე-აბაშიძე კულტურის ფონდის ხელმძღვანელობას უთავსებდა. ამ საქმეში დედის მოღვაწეობის დროს გაღებული წვლილისათვის კულტურის ფონდის სიგელები გადაეცათ აჭარის შინაგან საქმეთა მინისტრს ილია წულუკიძეს, რომელიც ფონდის ეგიდით წარმოებულ მშენებლობებს ეხმარებოდა, ბიზნესმენ ჯუმბერ გოგიტიძეს ფულადი დახმარებისთვის, აჭარის ავიაკომპანიის მესვეურებს ავიაბილეთებზე შეღავათის დაწესებისთვის და სხვებს. კულტურის ფონდი საზღვარგარეთიდან ჰუმანიტარულ ტვირთებს იღებდა და ანაწილებდა. ძირითადად ტანსაცმელს, პროდუქტს, ინვალიდებისთვის საჭირო ინვენტარს. ყველა, ვისაც ამ ღონისძიებაზე სიგელი გადავეცით,

უანგაროდ და გაუხმაურებლად აკეთებდა თავის კეთილ საქმეს.

**– ბუნებრივად იბადება კითხვა, თუ გააგრძელებდით დედის დაწყებულ საქმეს?**

– ფონდში მოქმედი რეგლამენტით, მისი ხელმძღვანელობის შეცვლა ქალთა საერთაშორისო კონფერენციის მოწვევით და არჩევნების გზით უნდა განხორციელდეს. ამდენად, დღეს ამ თემაზე საუბრისგან თავს შევიკავებდი.

**– თქვენს სახელს უკავშირდება ჟურნალ „მონატრების“ გამოცემა, მის პერიოდულ გამოშვებაზე ხომ არ გიფიქრიათ?**

– ჩაფიქრებული მაქვს ჟურნალი ტრადიციულად დედის დაბადების დღეზე გამოვცე. ეს თხოვნა ახლობლებისაგან, მისი მეგობრებისაგან და, უბრალოდ, დედის საქმის დამფასებლებისგან



ოჯახი



მამა-შვილი

წამოვიდა. ჩემთვის ესაა დედასთან საუბრის, გულისთქმის და სითბოს გაზიარების საშუალება.

**ამბობენ, ღმერთს საუკეთესო მიჰყავსო. დიანამაც თავი შეიკავა დედის დაღუპვის მიზეზებზე საუბრისგან. თუმცა ჟურნალისტური ინტერესით ჩავეძიე დედა-შვილის ბოლო ურთიერთობას:**

– ბოლომდე მის გვერდით ვიდექი. ვეუბნებოდი, შენზე ზრუნვა მსიამოვნებსო და მასაც უხაროდა. მეტყოდა, – რა კარგია, რომ გსიამოვნებსო... რაც შემეძლო გავუკეთე...

**– ოჯახში მონატრება დიდია?**

– მამა თეთრი ვარდებით თითქმის ყოველდღე ადის მის სანახავად. რამდენჯერ ყოფილა შემთხვევა უთქვამს, – დედასთან ავდივარო. ისაა ცუდი, რომ ადრე დაგვტოვა. ისე მინდა ვიცხოვრო, სასუფეველში მასთან მოვხვდე. ბოლოს, ეტყობა, გრძნობდა ავადმყოფობა რომ ამარცხებდა, მამას თხოვა არ გაჩერებულიყო, ბრძოლა განეგრძო; რათა მასზე დაკისრებული მისია ბოლომდე შეესრულებინა, საქართველოს გადარჩენა-აღორძინებაზე ეზრუნა.

**– ყველაზე უახლოეს მეგობრებად ვის დაასახელებდით?**

– ყველაზე უახლოესი მეგობრები ჩემთვის მშობლები იყვნენ. ამ მხრივ დედას ვერავინ შემიცვლის, ხომ არის ზოგჯერ ქალებს შორის გასარჩევი საკითხები გებადება. ახლა მამა დამრჩა. ისე, უამრავი მეგობარი მყავს.

## კორტები

**– რას საქმიანობს დიანა აბაშიძე?**

– პატარა გოგო ვიყავი, კორტებზე რომ მოვდიოდი და ჩოგბურთს ვთამაშობდი. მაშინ ძალიან ცუდი პირობები იყო, ბავშვებს არ გვქონდა გამოსაცვლელი ოთახი და აბაზანა. ამ პირობებში პროფესიულ ჩოგბურთში მოღვაწეობაზე საუბარი ზედმეტია. რამდენიმე წლის წინ ეს საქმე შემომთავაზეს. მეც შევეცადე ყველა პირობა შემექმნა ჩოგბურთით დაინტერესებული ახალგაზრდებისათვის. ჩემი მოღვაწეობა კორტების საფარის შეცვლითა და აქვე მოქმედი სასტუმროს რეკონსტრუქციით დავიწყე. დღეს საფარის კეთილმოწყობით ბათუმის კორტები მსოფლიოში მე-3 ადგილზეა. მახსოვს, საქმეების გადმობარებიდან ერთი კვირის თავზე მამას სტუმრები სურდა მოეყვანა, მაგრამ ადგილზე ყველაფერი გადათხრილი დახვდა. კიდეც ჩაილაპარაკა, ეს რა გიქნიაო.

წელს ბათუმმა მეშვიდედ უმასპინძლა ჩოგბურთელ ქალთა ღია პირველობას „ბათუმი ლედის ოუფენს“, რომლის საპრიზო ფონდი 75 ათას დოლარს შეადგენდა. მინდა სიამაყით აღვნიშნო, რომ ამ ტურნირის რეიტინგი ყოველწლიურად მატულობს და უკვე ძალიან მაღალი ავტორიტეტით სარგებლობს მსოფლიო საჩოგბურთო ოჯახში. წელს ტურნირში 31 ქვეყნის 200-მდე სპორტსმენი მონაწილეობდა.

მიმდინარე წელს პირველად ჩატარდა საერთაშორისო ტურნირი აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მეთაურის თასზე მოყვარულთა ჩოგბურთში მამაკაცის და ქალის მონაწილეობით. ტურნირის თანაორგანიზატორები იყვნენ მიბს თრეველი და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჩოგბურთის ფედერაცია, რომლის პრეზიდენტიც მე გახლავართ. აღსანიშნავია, რომ ტურნირის მონაწილენი მიბს თრეველის ეგიდით მსგავს ასპარეზობაზე უკვე რამდენჯერმე შეხვედრიან ერთმანეთს. ოთხი დღის მანძილზე მოყვარული ჩოგბურთელები სასიამოვნოს სასარგებლოს უთავსებდნენ. გამარჯვებულები მოლხენით ზეიმობდნენ, ასპარეზობას გამოთიშულნი ზღვაში ცურვით და მზეზე გარუჯვით იქცევდნენ თავს.

შთაბეჭდილებებიდან შარშან პარიზში გამართულ „დევისის თასის“ ფინალს გავიხსენებდი. მას ტრადიციისამებრ, სხვადასხვა ქვეყნის ჩოგბირთის ფედერაციის პრეზიდენტები ესწრებიან. მათ შორის, ვიყავით ჩვენც, ევროპის ოჯახში უკვე ოფიციალურად მიღებული აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჩოგბურთის ფედერაციის წარმომადგენლობა. აქ პირველად წარსდგა ბათუმის ჩოგბურთის ფედერაციის ახალი ხელმძღვანელობა „ბერსის“ სპორტულ სარბიელზე და სამომავლო გეგმებზე, ბათუმის საჩოგბურთო კორტების პოტენციალზე პრეზენტაცია მოვაწყვეთ.

## აბაშიძე-კანესტრარის ოჯახი

**– რას იტყვით თქვენს პატარა ოჯახზე; რამდენადაც ინფორმირებული ვართ, თქვენი მეუღლე იტალიელია...**



საქართველოს
პარლამენტის

ეროვნული ბიბლიოთეკა

– იტალიელებს ქართველებს ამსგავსებენ, კმაყოფილი ვარ ჩვენი ურთიერთკავშირით. ამ შემთხვევაში ეს გამოთქმა ამართლებს. მარკო კანესტრარი ეკონომისტია, ბიზნესში საქმიანობს. თუმცა მეტად ცნობილია როგორც ფეხბურთელი, სერია „ბ“-ს მოთამაშე, ფეხის ტრავმის შემდეგ ჩამოსცილდა დიდ სპორტს.

**– კომუნიკაციის პრობლემა ხომ არ შეგქმნიათ?**

– ქართული ესმის, რუსულად მეტყველებს კიდეც, მაგრამ ოჯახში იტალიურად ვსაუბრობთ.

**– ბავშვები როგორ აღიქვამენ ინტერნაციონალური ოჯახის წევრობას?**

– ორივე იტალიურად მეტყველებს. 11 წლის გიორგი იტალიელი ჰგონიათ. ვცდილობ, მეუღლის მშობლიურ ქალაქს რიმინს უფროსის არდადეგების პერიოდში, ზაფხულ-ზამთარს ვეწვიოთ. თუმცა არის შემთხვევები, სკოლის პერიოდში გვიწევს გამგზავრება. მაშინ კერძო კოლეჯში დადის. თავიდან საზოგადო სკოლაში მივაბარეთ, მაგრამ შემდეგ კერძო ვარჩიეთ, რადგან აქ საგნების არჩევა შეიძლება. ბათუმში გიორგი სახელმწიფო გიმნაზიაში სწავლობს.

**– რა ღირსშესანიშნავ მოვლენებს გაიხსენებდით ბიჭების ცხოვრებიდან?**

– აღვნიშნავდი, რომ ბიჭები თვითონ მეფერებიან, განსაკუთრებით ბოლო ხანებში იჩენენ მზრუნველობას. ყოველდღიურად ისეთ საოცრებებს მოიმოქმედებენ, უნდა ჩაინიშნოთ. გიორგიზე კიდეც ვაკეთებდი ჩანაწერებს. ძმებს ერთმანეთი ძალიან უყვართ. თუ უფროსს საყვედურს ვეტყვი, 4 წლის რიკარდო (მოფერებით რიკი) გამოექომაგება ხოლმე, გიორგიც ასევე იქცევა.

**– რა ინტერესები აქვთ ბავშვებს?**

– პატარაობიდან გიორგის ხატვისადმი ინტერესს ვამჩნევდი. თუმცა თავისებურია, პერიოდები აქვს, პალიტრას ხელს არ მოჰკიდებს. ორივე ბიჭი დამყავს სპორტზე: გიორგი – ჩოგბურთზე, უმცროსმა რიკიმ კი კარატე ამჯობინა.

**– რას ინატრებდით თქვენს ოჯახურ იდილიაში?**

– თუ გამოგვივა, მსურს პატარა გოგონა შეგვეძინოს და დედის სახელი მარიამი დავარქვა. დედა ყოველთვის მეუბნებოდა: არ გაჩერდე, ქალიშვილი აუცილებელია ოჯახშიო. ბოლოს დავპირდი, მის სახელს დავარქმევდი, ძალიან უხაროდა და ამას ყველას ეუბნებოდა. ვნახოთ...

**ესაუბრა თამარ ნინიძე**



# ჯილდოს

ქვეყანაში შექმნილი ურთულესი მატერიალურ-ეკონომიკური ვითარების მიუხედავად, საქართველოს რკინიგზამ შეძლო ბოლო წლებში გაპარტახებული მეურნეობის აღდგენა-განახლება, ქვეყნისათვის სასიცოცხლო ფუნქციის შეძენა და საიმედო პარტნიორის იმიჯის შექმნა. ერთ მუშტად შეკრული მრავალათასიანი კოლექტივი მთლიან დიდ ოჯახს წარმოადგენს, სადაც მიუხედავად ჩინისა და რანგისა, ერთმანეთის გვერდით მდგომნი – საქვეყნო საქმეს ემსახურებიან. ამიტომაც უწოდეს საქართველოს რკინიგზას ქვეყნის მთავარი არტერია.

რკინიგზაში ძირითად მეურნეობაში 24 ათასი ადამიანია დასაქმებული. აქედან 6 ათასამდე ქალია. დღეს სწორედ ქალთა კოლექტივის ლიდერს, კადრების სამმართველოს უფროსის მოადგილეს, მშვენიერ ქალბატონს მარიამ მეგრელიშვილს წარმოგიდგენთ. ახლახან ქ-ნი მარიამი მრავაწლიანი ნაყოფიერი მუშაობისათვის ღირსების ორდენით დააჯილდოვეს.

**– ქ-ნო მარიამ, გილოცავთ ჯილდოს და მომავალშიც წინსვლასა და წარმატებებს გისურვებთ.**



● შეხვედრა რკინიგზელების შვილებთან

– მადლობის მეტი რა მეთქმის ჩემი მოკრძალებული საქმიანობის ასეთი მაღალი შეფასებისათვის, თუმცა, მერწმუნეთ, ჯილდოს მისაღებად ნამდვილად არაფერი მიკეთებია. ჩვენს ორგანიზაციაში იმდენი საქმე კეთდება, ისეთი დიდი სამუშაოები ტარდება, რომ უბრალოდ მორალური უფლება არა გვაქვს უქმად ყოფნისა.

**– და მაინც, როგორ ფიქრობთ, რა ნიშნით გამოგარჩიეს მრავალათასიანი კოლექტივისაგან?**

– ძალიან ძნელია საკუთარი თავის შეფასება, მითუმეტეს, საკუთარი საქმიანობისა. ამაზე სხვებმა უნდა ისაუბრონ. იმის თქმა კი ხმამაღლა შემიძლია, რომ ჩემი ცხოვრების ყველაზე ლამაზი წლები ამ კოლექტივში გავატარე. აქ ვისწავლე შრომა და აქ შევიძინე ბევრი კარგი თვისება. სანამ შემიძლია და სანამ საჭირო ვიქნები, ბოლომდე ხალხის სამსახურში დავიხარჯები. ყველაფერი, რასაც ვაკეთებ, მოჩვენებითი არ არის, გულიდან მომდინარეობს. დიდი მადლობა მინდა გადავუხადო ჩემს კოლექტივს, რომელიც მუდამ გვერდით მიდგას ჭირშიც და ლხინშიც. რატომღაც რკინიგზელები ცივი ხალხი ჰგონიათ. ალბათ, რკინასთან თუ ხდება ასოცირება. არადა, დამერწმუნეთ, ისეთი გულჩვილი, გულწრფელი და უშუალო ხალხია, ხანდახან მეც კი მიკვირს. რკინიგზელებისათვის დამახასიათებელია ერთმანეთის გვერდში დგომა. რკინიგზელების პატრონი საქართველოს რკინიგზაა, თანაც კარგი პატრონი.

ჩვენს ორგანიზაციას უზარმაზარი პერსპექტივები აქვს. ხმამაღლა შემიძლია განვაცხადო, რომ ჩვენთან უდიდესი ეროვნული საქმეები კეთდება და ყველაფერი ამის სულისჩამდგმელი და ინიციატორი ბ-ნი აკაკი ჩხაიძე გახლავთ. თქვენი ჟურნალის საშუალებით მინდა მადლობა გადავუხადო იმ დიდი თანადგომისათვის, რასაც თითოეული ჩვენთაგანისადმი იჩენს. იგი სწორად ჭვრეტს მომავალს. იცის, რომ კარგად დაწყებულ საქმეს უკეთესი გაგრძელება უნდა. ამიტომ განსაკუთრებით ზრუნავს ახალგაზრდა სპეციალისტების ჩამოსაყალიბებლად. მისი ინიციატივით ბევრი ნიჭიერი ახალგაზრდა საზღვარგარეთ გაიგზავნა უახლესი ტექნოლოგიების შესასწავლად და შემდგომ დარგში დასანერგად. ტექნიკუმის ბაზაზე დაარსა რკინიგზის ინსტიტუტი, სადაც ყველა პირობაა შექმნილი აკადემიური განათლების მისაღებად.

საქართველოს რკინიგზამ ურთულესი გზა გამოიარა. შეუძლებელია ადამიანმა ვერ დაინახოს ის, რაც ამ ბოლო წლებში გაკეთდა. თუმცა დაინახავს ის, ვისაც დანახვა უნდა. ხოლო ვისაც არ სურს, ის ვერც აშენებულ ხიდს და ლამაზ სადგურს შეამჩნევს და ვერც ამოქმედებულ საავადმყოფოს, სასწავლებელს თუ ბევრ სხვა რამეს.

ურთულესი წლები ისე გავიარეთ, რომ ხელფასი ერთი დღითაც არ დაგვგვიანებია.

# გავწირავთ თუ არა ჩვენს შვილებს სამუდამოდ ჭაობში ცხოვრებისათვის

**ეკლესია და მხოლოდ ეკლესია არის ის ერთადერთი ადგილი, სადაც ჩვენი სულისა და ხორცის აურაცხელ წყლულს სალბუნს ადებს ზეციური მკურნალი. მაგრამ ჩვენ არ მივმართავთ მას, გვერდს ვუვლით ეკლესიას. არადა, როგორ გვჭირდება მკურნალობა, განსაკუთრებით მოზარდებს, ჩვენს შვილებს – ჩვენი სამშობლოს მერმისს...**

არავისთვის საიდუმლო აღარ არის, რომ ჩვენ – დღევანდელი ქართველი ბავშვებისა და მოზარდების მშობლებმა, უფროსმა თობამ ჩავიდინეთ ჯერარნახული და არგაგონილი ღალატი საქართველოს მომავლის წინაშე – არაფერი გავაკეთეთ, რათა ჩვენი შვილები დაგვეცვა ყველაზე ამაზრზენი და დამღუპველი განსაცდელისაგან – გარყვნილების მორევისაგან!



უფრო მეტიც. „მასობრივი კულტურის“ მსხვერპლად ქცეულ ბავშვებს, იმ „კულტურისა“, თავის მიზნად ადამიანისათვის ბუნებრივი სინდისის ქენჯნის, სირცხვილის გრძნობის დათრგუნვა და სრული მოსპობა რომ დაუსახავს, ჩვენივე ხელით ვუბიძგებთ უფსკრულისაკენ. ჩვენი თანხმობით, წაქეზებით, უდარდელობით, გულგრილობით, გაუნათლებლობით, მხოლოდ ფულსა და ყოველგვარ ამაოებაზე ზრუნვით, უსიყვარულობით ყველაფერი გავაკეთეთ, რათა ამ „მასობრივი კულტურის“ კერპების შემყურე მოზარდებს ალარაფრად მიაჩნდეთ ღვთის მიერ ნაბოძები თითოეული ადამიანისათვის ბუნებრივი უბიწოება, უმანკოება, სისუფთავე და საკუთარ სხეულსა და სულს დაუფიქრებლად, უაზროდ იმეტებენ გარდაუვალი ტანჯვისათვის, ჯოჯოხეთში რომ ელით.

სიგარეტის წევა, დედის გინება და ბილწსიტყვაობის აქამდე გაუგონარი კორიანტელი, გამომწვევი, ურცხვი ჩაცმულობა, ნახევრადშიშველი, ჭიპტიტველა გოგოებისა და რატომღაც ზედმიწევნით ნატიფად ჩაცმული ბიჭების ჩახუტებული სიარული, ცინიზმი, სისასტიკე, სიბრალულისა და თანაგრძნობის ყოველგვარი გამოვლინების გაკილვით ჩახშობა, ბავშვურობის დეფიციტი... რატომ ვიმეტებთ ჩვენს შვილებს ამ სულიერი სიკვდილისათვის ისევე, როგორც უფრო ადრე სიკვდილისათვის გავიმეტეთ მათი და-ძმები ჯერ კიდევ მუცლადყოფნის დროს, სხვები კი გონებიდან ამოვიშალეთ, „არარსებობისათვის“ გავიმეტეთ პაწია არსებანი, ჩვენი სისხლი და ხორცი მათი გონებრივი და ფიზიკური განუვითარებლობის გამო?! რატომ?

იმიტომ, რომ უარს არ ვამბობთ ჩვენს ცოდვებზე, ცოდვით მიდრეკილებებზე. მოგვწონს კიდეც ამ ჭაობში ცხოვრება, სადაც არც ღმერთია (ე.ი. სინდისი არ გვამხელს), არც სიყვარული (იგი სექსის თავისუფლებითაა შეცვლილი), არც მოყვასი (საკუთარი „მე“ ისეა გაბერილი უზნეობით, რომ „სხვისთვის“ ადგილი არ რჩება). ამ ჭაობში ვიმკით სნეულებებს ჩვენთვის და ჩვენი შვილებისთვისაც: ფსიქოზებს, დეპრესიულ მდგომარეობებს, ნევროზებს, სხვადასხვა ფსიქოპათიებს, ვენერიულ სნეულებებს, შიდსსა და სქესობრივ გზით გადამდებ ორ-სამ ათეულ უმძიმეს პათოლოგიას, გენიტალური ორგანოების: პროსტატის, სათესლე ჯირკვლების, საკვერცხეების, საშვილოსნოსა და მისი დანამატების ანთებებს, უშვილობას, იმპოტენციას, ლოთობას, ნარკომანიას, გულის იშემიურ დაავადებას, თავის ტვინის სისხლის მიმოქცევის მოშლას, თანდაყოლილ მანკებსა და განვითარების ანომალიებს, შაქრიან დიაბეტსა და სხვა ენდოკრინულ მოშლილობებს, მემკვიდრეობით, ონკოლოგიურ (სიმსივნურ), სისხლის, კუჭ-ნაწლავის, ღვიძლის დაავადებებს...

ამ ჭაობში ვიმოკლებთ ამქვეყნიურ სიცოცხლეს და არ ვზრუნავთ იმქვეყნიური მარადისობისათვის. გვინდა ჩვენ ეს თუ არა, ვიცით ეს ჩვენ თუ არა, ვფიქრობთ ჩვენ ამაზე თუ არა, ჩვენი სული მაინც უკვდავია, გარდაცვალების შემდეგ იგი აუცილებლად წარსდგება ღვთის წინაშე, მის სამსჯავროზე და პასუხს აგებს მთელი თავისი ცხოვრების ყოველ წამზე, ყოველ საქციელზე, ყოველ გულისთქმაზე. ეს შეხვედრა გარდაუვალია! აირჩიეთ, თავად გადაწყვიტეთ: საჭიროა თუ არა ვამზადოთ ჩვენი თავი და ჩვენი შვილები ამ შეხვედრისათვის.

... და მიუხედავად თქვენი გადაწყვეტილებისა, მაინც გააგრძელეთ ჩვენი რუბრიკის კითხვა...

## წერილი 12-14 წლის ბიჭებს, ჩვენს შვილებს, ანუ როცა მთავრდება ბავშვობა

შენს ცხოვრებაში ახლა რთული დრო დადგა. ამიტომაც ორიოდე სიტყვის თქმა მინდა შენთვის. ეს აუცილებელია. აკი თავის დროზე მეც იგივე გადავიტანე. კარგად მახსოვს, ვერ გამეგო, რა ხდებოდა ჩემს თავს.

ახლა შენთვის ძალიან მნიშვნელოვანი ხანა დგება – როცა მთავრდება ბავშვობა და იწყება სიყმაწვილე. თავადაც ხომ გრძნობ, როგორ იცვლება ბევრი რამ შენს სხეულში; როგორ გიპყრობს რაღაც იდუმალი, აქამდე უცნობი სურვილები. საიდანღაც გიჩნდება უცნაური აზრები, რომლებიც ხშირად რაღაც „ცუდთან“, „აკრძალულთანაა“ დაკავშირებული. ზოგჯერ შესაძლებელია ისეთი სიზმარი ნახო, შენს მშობლებს ვერასოდეს რომ ვერ გაუმხელ...

ეს ყოველივე კი იმას ნიშნავს, რომ შენ ახლა იწყებ მომწიფებას ქორწინებისთვის, როცა შენი სხეული მთელი ძალით ცდილობს შენი პიროვნების უმაღლესი საწყისის – სულის დამორჩილებას.

შენს წინააღმდეგ ბოროტმა ძალებმა, ეშმაკებმაც გააძლიერეს ბრძოლა: აბა, დააკვირდი, რა იშვიათად მიგიწევს გული ეკლესიისკენ მოძღვართან აღსარების სათქმელად, სამაგიეროდ, მეტ დროს უთმობ გართობას, ტელევიზორის ყურებას, ზიხარ ამხანაგებთან ერთად და უსმენ უხეშ, ყოველგვარი კეთილშობილური გრძნობებისაგან დაცლილ და, პირიქით, ყველაზე ბნელი და მდაბალი ცოდვიანი გრძნობების წარმომჩენ როკ-მუსიკას...

ბოროტი ძალები ჩვენი ხსნის, ცხოვნების მტრები არიან, ამიტომაც ისინი ადვილად როდი მოგასვენებენ; შეეცდებიან, დაატყვევონ შენი წარმოსახვა, გაგალიზიანონ და გტანჯონ. მათ ერთი სურვილი ამოძრავებთ, გაგხადონ საკუთარი სხეულისა და ვნებების მონა: შენს უკვდავ სულზე რომ არ იფიქრო, არამედ მხოლოდ სხეულის, ხორცის სურვილების დაკმაყოფილებაზე. მათ სურთ, ცხოველად გაქციონ... ნუ დაუშვებ ამას. შენ ხომ მშვენივრად იცი, ადამიანი ცხოველთა სამყაროს ნაწილი როდია. იგი ღვთის უმაღლესი ქმნილებაა, ყოველგვარ ქმნილებათა გვირგვინია. მას სამყაროში განსაკუთრებული მისია აქვს დაკისრებული...

შენს არჩევანზეა ახლა ბევრი რამ დამოკიდებული: არა მარტო შენი სულის გადარჩენა, არამედ შენი მომავალი ამქვეყნიური ცხოვრებაც. რას აირჩევ: სხეულის, ხორციელი ვნებებისადმი დამორჩილებას, თუ პირიქით, მათ დაუმორჩილებ სულს – უმაღლეს საწყისს. ზოგიერთმა შენმა თანატოლმა, სამწუხაროდ, პირველი გზა აირჩია: მხოლოდ გართობაზე ფიქრობენ, გატაცებული არიან ბინძური, გარყვნილი ფილმებით, სურათებით... და თანდათანობით, ისე, რომ თავადაც ვერ ამჩნევენ ამას, ხრწნიან საკუთარ სულსა და სხეულს.

იცი, რა არის ქრისტიანის სხეული? ეს არც მხოლოდ სახსრებით შეკავშირებული ძვლების ერთობლიობაა, კუნთებითა და კანით დაფარული, და არც ურთულესი მანქანა. იგი არც ძაღლის ან მაიმუნის სხეულის მსგავსი არ არის. თითოეული ადამიანის სხეული მისი მარადიული, უკვდავი სულის სავანეა. ეს არის სულიწმიდის ტაძარი, მაშასადამე, თვით უფალი ღმერთის სახლია. ასე რომ, მისი შებილწვა ბიწიერი ქმედებით, სიტყვით და ფიქრითაც კი ღვთის სახლის შეურაცხყოფაა.

შენ ახლა მხოლოდ შედიხარ მოწიფულობის ასაკში. მაგრამ გაივლის რამდენიმე წელიწადი და უკვე დავაჟკაცდები. გახსოვდეს, მიუხედავად იმისა, თუ რა გზას აირჩევ შემდგომში – პატიოსან ქრისტიანულ ქორწინებას, თუ ბერმონაზვნობას, ამას არავითარი მნიშვნელობა არა აქვს, – ყველა შემთხვევაში შენ ამ წუთიდან დაწყებული საკუთარი სხეული და სული სიწმიდესა და უმანკოებაში უნდა შეინახო. სხვანაირად შენ ვერ გახდები სარწმუნოებისა, მამულისა და ენისათვის მლოცველი და მებრძოლი – საქართველოს ღვიძლი შვილი!

ამიტომაც გთხოვ, ჯერ ნუ დაიწყებ ფიქრს ცოლქმრულ ურთიერთობებზე. ქორწინების ჟამი ხომ შენთვის მალე არ დადგება: შენ ახლა ქორწინებისა და შვილოსნობისათვის ძალების მოკრებას იწყებ მხოლოდ.

წარმოგიდგენია, რა მოუვა კოკორს, ძალით რომ გაშალო, ვარდის დანახვა მინდაო? ასეთი ბარბაროსობის შედეგი ის იქნება, რომ კოკორს სიცოცხლეს მოვუსწრაფებთ და ვერც მისგან გაშლილ ვარდს ვნახავთ ვეღარასოდეს. იმ მშვენიერი გაუშლელი კოკორის მსგავსად შენს სულში დამალულია შენი უნარი ცოლქმრული სიყვარულისა. და ნუ შეეცდები მის ნაადრევ გაშლას; ჯერ ხომ არ დამდგარა მისი ყვავილობის ჟამი. გაუფრთხილდი მას იმ ერთადერთი ქალიშვილისათვის, რომელზედაც ჯვარს დაიწერ და რომელიც ღვთისაგან კურთხეული ქორწინების შედეგად გახდება შენი შვილების დედა.

ასეთი დიდი ბედნიერება გელოდება წინ. ამიტომაც განა გასაკვირია, ახლა რომ ასეთი შინაგანი ბრძოლები გაქვს: უფრო მეტად უხასიათოდ ხარ ხოლმე, გულჩათხრობილი გახდი, ჯიუტობ, ადვილად ღიზიანდები, საკუთარ აზრებსა და გულისთქმებში ვერ გარკვეულხარ, უფროსებსაც სიტყვას ბანზე გვიგდებ ხოლმე, ან სულაც გაგვირბიხარ, გვეუხეშები და ჩვენგან იკეტები...

ნუ გეშინია ამ უჩვეულო მდგომარეობისა. ჩვენ შენთანა ვართ, შენი გვჯერა და გამუდმებით ვლოცულობთ შენთვის.

**ვახტანგ ახალაძე,**
**მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი.**

# მისთვის მესამე საუკუნე დაიწყო

წალენჯიხის საშუალო სკოლის ისტორია მე-19 საუკუნის მეორე ნახევრიდან – 1869 წლიდან იწყება. სხვადასხვა დროს მას სხვადასხვა კერძო შენობაში ჰქონდა ბინა – იყო ორწლიანიც, ოთხწლიანიც და შვიდწლიანიც.

1921 წლამდე სკოლაში მოღვაწეობდნენ ილარიონ ჟვანია, ოლგა გოგია, პავლე და ასლან შანავები, ფეოდოსი და ანეტა თვალთვაძეები, ბაგრატ რაფავა და სხვები. ორი წელი სკოლაში პედაგოგად მუშაობდა პარიზში გამომავალი ქართული ჟურნალის რედაქტორი კალისტრატე სალია. წალენჯიხის სკოლაში აღიზარდნენ ცნობილი აკადემიკოსები – ტარასი კვარაცხელია, ევნატე ფიფია, პროფესორები – თეოფანე კვარაცხელია, თომა ხარჩილავა, ილარიონ კვარაცხელია და სხვები. სკოლას წალენჯიხელები სიამაყით იაკო შანავას სკოლას ეძახდნენ. იაკო ცნობილი კომერსანტი, საზოგადო მოღვაწე, მეცენატი და ქველმოქმედი, დიდი ილას თანამებრძოლი და ქვემო სამეგრელოში წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების თავმჯდომარე გახლდათ.

1926 წელს სკოლა ახალ ორსართულიან შენობაში გადავიდა. 1932 წელს კი მის ბაზაზე პედაგოგიური ტექნიკუმი დაარსდა, რომლის კურსდამთავრებულები სამუშაოდ საქართველოს სხვადასხვა რაიონებში განაწილდნენ. სკოლა და ტექნიკუმი ერთ შენობაში იყო განთავსებული. 1965 წლიდან წალენჯიხის სკოლას მე-2 საშუალო სკოლა ეწოდება და იმ მდიდარ ტრადიციას აგრძელებს, ღვაწლმოსილმა პედაგოგებმა რომ დაამკვიდრეს. ესენი არიან: იონა სიგუა, გრიშა სარია, ბაგრატ მიქავა, გალაქტიონ შანავა, ალექსანდრე და ვლადიმერ მიქავები, ალექსანდრე შანავა, ზაზა თვალთვაძე, ლიდია და ვერა კალანდიები, ნიფადორა შონია, თამარ კვარაცხელია და სხვები.

წალენჯიხის სკოლაში სხვადასხვა დროს დირექტორებად უმუშავიათ ცნობილ პედაგოგებს: ივლიანე ძიძისტარიშვილს, ნიკოლოზ კუჭავას, გრიგოლ ძიძიგურს, დოროთე ქურულორიას, დიმიტრი ლემონჯავას, ალექსი ცხადაიას, ვარლამ ბელქანიას, ვლადიმერ ჩიქობავას. ამჟამად სკოლის დირექტორია ახალგაზრდა პედაგოგი მერაბ კვარაცხელია.

წალენჯიხის მე-2 საშუალო სკოლა საერთო განათლებასთან ერთად განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს ბავშვთა მხატვრულ-ესთეტიკურ აღზრდას. წალენჯიხელებს დღესაც ახსოვთ 80-იან წლებში ქორეოგრაფ ავთანდილ გოლიაძის მიერ დადგმული ცეკვა „მეურმე“, რომლის ყველა მონაწილემ ოქროს მედალი მიიღო. ახსოვთ, აგრეთვე, ქართულ-ხალხურ საკრავთა ორკესტრი, რომელსაც რესპუბლიკის დამსახურებული მოღვაწე კირილე ვაშაკიძე და ნელი ციმინტია ხელმძღვანელობდნენ. ტრადიცია გრძელდება ცნობილი ლოტბარის მურთაზ ციმინტიას ხელმძღვანელობით. განსაკუთრებული მოწონებით სარგებლობდა სკოლის გოგონათა ანსამბლი „თოლია“.

სკოლაში მრავალი პრიზი და ჯილდო ინახება, მისმა აღზრდილებმა საზრიანთა და გონებამახვილთა კონკურსებში თუ სპორტულ შეჯიბრებებში რომ მოიპოვეს.

არ შეიძლება არ გავიხსენოთ სკოლის ყოფილი მასწავლებელი იზო ბერიაშვილი, რომელმაც დრამატული წრე ჩამოაყალიბა.

და დგას ძველ ნაფუძარზე, მდინარე ჭანისწყლის მარჯვენა ნაპირზე – სამსართულიანი ნაგებობა 29 საკლასო ოთახით, სპორტდარბაზით, ფიზიკის, ქიმიის, ბიოლოგიის, ისტორიის, ქართული ენის კლას-კაბინეტებით, სადაც 600-მდე მოსწავლეს 45 პედაგოგი ამეცადინებს. მათ შორის უმაღლესი კატეგორიის 5 მასწავლებელია: მანანა შანავა, ინეზა ზარანდია, ნატო კვარაცხელია, ნინო ევსია, სულიკო ხარჩილავა. გასულ სასწავლო წელს წლის საუკეთესო მასწავლებლის წოდება მიენიჭათ ნინო ევსიას და ლალა სამუშიას. ქიმიის მასწავლებელი სულიკო ხარჩილავა რაიონის მთავარი სპეციალისტია. განაზოგადეს ბიოლოგიის მასწავლებლის ინეზა ზარანდიას გამოცდილება. ღვაწლმოსილი პედაგოგები არიან კლარა გოგია და ღირსების ორდენოსანი ნანული ანთია. ძირითადად კი მოსწავლეთა აღზრდას მასწავლებელთა ახალგაზრდა კოლექტივი უდგას სათავეში. მათი ხელმძღვანელობით მოსწავლეები აქტიურად მონაწილეობენ რაიონულ თუ რესპუბლიკურ სასწავლო შემოქმედებით კონფერენციებსა და საგნობრივ ოლიმპიადებში.

განსაკუთრებული პასუხისმგებლობა აკისრიათ დაწყებითი კლასების მასწავლებლებს: ლილი გიორგაძეს, სულიკო კალანდიას, ლანა ჩიქობავას, ნატო ციმინტიას, ნელი და ფენია სამუშიებს, ლუიზა და მანონ წურწუმიებს. მათზეა დამოკიდებული, პირველკლასელები როგორ იგრძნობენ თავს სკოლაში, როგორ შეუყვარდებათ სწავლა.

სკოლის დირექტორი მერაბ კვარაცხელია თვლის, რომ ცვლილებები განათლების სისტემაში მათი სკოლის ცხოვრებასაც შეცვლის:

– რეფორმა ძალას იკრებს, ვფიქრობთ, რომ ის მიზანს მიაღწევს. რეფორმით გათვალისწინებული შვიდივე კომპონენტი თუ დამაკმაყოფილებლად შესრულდება, პრობლემები სკოლაში საგრძნობლად შემცირდება. რეფორმის სიკეთეს ალბათ მალე ვიგრძნობთ, გრანტებს და შეკვეთილ თვალსაჩინოებებს მივიღებთ, კლასკაბინეტები უკეთ მოეწყობა, ვფიქრობთ, სწავლის დონეც აუცილებლად ამაღლდება. დღესდღეობით პრობლემები მაინც გვაქვს – გვიჭირს მაღალკლასელების გაკვეთილზე დამაგრება, ეკონომიკური სიძნელეების გამო ბავშვებს არა აქვთ სახელმძღვანელოები, სასწავლო ნივთები, ტანსაცმელ-ფეხსაცმელი. მასწავლებლები თვეობით უხელფასოდ მუშაობენ. მშობლები შვილებისათვის ვერ იცლიან ობიექტურ მიზეზთა გამო. გვაწუხებს ის ფაქტიც, რომ ერთ საგანში რამდენიმე სახელმძღვანელოა ლიცენზირებული. მოკლებული ვართ მეთოდურ ლიტერატურას. გადატვირთულია სასწავლო პროგრამები. გვაწუხებს ისიც, რომ ზოგჯერ პროგრამა შედგენილია და სახელმძღვანელო არ არის გამოსული, ანდა პირიქით. სასურველია, მეტი ყურადღება დაეთმოს ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლებას, აუცილებელია მასწავლებელთა ატესტაციის ჩატარება, მასწავლებელთა ხელფასების გაზრდა.



● სკოლის დირექტორი მერაბ კვარაცხელია მოსწავლეებთან

გასულ წელს წალენჯიხის მეორე საშუალო სკოლაში ამერიკული ორგანიზაცია „აირისა“ და ზუგდიდის ინვალიდ ქალთა და ინვალიდ ბავშვთა დედათა ასოციაციის დახმარებით გაიხსნა სასწავლო სახელოსნო და შრომითი სწავლების კაბინეტი გოგონებისთვის. გაკვეთილების შემდეგ ბავშვები ხალისით მიდიან ამ კაბინეტში, სადაც ქსოვას, ქარგვას და კერვას სწავლობენ. აქვე მოეწყო მათი ნახელავის გამოფენა. სოროსის ფონდმა სკოლა 10 კომპიუტერით დაასაჩუქრა.

სკოლაში ხშირად სტუმრობს ამავე სკოლის აღზრდილი, რაიონის გამგებელი რობერტ კაჭარავა და მზრუნველობას არ აკლებს მას. მისი თაოსნობით შეკეთდა ელექტროგაყვანილობა, დამონტაჟდა კომპიუტერის კაბინეტი, გაკეთდა სპორტული მოედანი, ახალი ინვენტარით მოეწყო სპორტდარბაზი. სკოლის სასადილო მოსწავლეებს გემრიელი ცხელი კერძებით უმასპინძლდება.



● სულიკო კალანდია – დაწყებითი კლასის მასწავლებელი

იმედია, წალენჯიხის მე-2 საშუალო სკოლა კვლავაც ერთ-ერთი მოწინავე იქნება რაიონში.

**თამაზ როგავა**

# ბოინგს

დღევანდელმა ყოფამ ჩვენში საქმიანი ქალის მცნება დაამკვიდრა. თუმცა, ქართველ მანდილოსნებს არცერთ ეპოქაში არ აკლდათ ზრუნვა ქვეყნისა და ოჯახისათვის. საერთაშორისოდ აღიარებული განმარტებით საქმიანი ქალი წარმოადგენს ქალბატონს, რომელიც წარმატებულად უძღვება ბიზნესს და ოჯახს. ჩვენთვის მაკა ასათიანის სახელი ჯერ კიდევ ქართული მოდის სამყაროს უკავშირდება. მაგრამ აღიარებული სპორტსმენის, ცნობილი საზოგადო მოღვაწის კახი ასათიანის ქალიშვილმა მამის ტრაგიკული სიკვდილის შემდეგ მკვეთრად შეიცვალა საქმიანობის სფერო, თავი მამის მემკვიდრედ გამოაცხადა. მაკა ასათიანთან შეხვედრისას „აირზენას“ ოფისში ეს მემკვიდრეობა განსაკუთრებულად იგრძნობოდა. აქ კახი ასათიანის სულიერ სამყაროსთან შეხება შეიძლებოდა, რაც ვლინდებოდა ოთახის სხვადასხვა კედელზე მოთავსებულ მის ფოტოსურათებში.



## მემკვიდრეობა

**– მოდით, ვისაუბროთ მაკა ასათიანის საქმიანობაზე დღეს, რას მოიცავს მამის მემკვიდრეობა და რა პრობლემების დაძლევა გიწევთ თქვენს ახალ საქმიანობაში?**

– გასული წლის დეკემბრიდან გადმოვიბარე მამის საქმეები, რაც მოიცავს საქართველოში „დაიმლერ კრაისლერის“ წარმომადგენლობას, ავიაკომპანია „აირზენას“, სპორტის ნაციონალური ფონდის ხელმძღვანელობას და იმ პატარ-პატარა ინტერესების სფეროებს, რაზედაც საუბრისგან ახლა თავს შევიკავებდი. რა თქმა უნდა, ამ გადაწყვეტილებით ჩემს საქმეს მოვაკელი ყურადღება. რადიკალურად განსხვავებულ ბიზნესს მოვკიდე ხელი. პირველი დაბრკოლება ჩემში უნდა დამეძლია, რადგან ძალიან მაშინებდა რამდენად გავართმევდი თავს ნაკისრ ვალდებულებებს – შევძლებდი, დავძლევდი, გავერკვეოდი? დღესაც ამ მიმართულებით ჩემი თავის გამოცდა მიწევს. კაბინეტშივე ვსწავლობ ყოველდღიურად უამრავ საბუთზე მუშაობას, რაც ადრე არ მჭირდებოდა, მაგრამ ნელ-ნელა შევეჩვიე.

თუ „დაიმლერ კრაისლერზე“ ვისაუბრებთ, ფირმაში პერიოდულად ფიქრობდნენ კონტრაქტის გაწყვეტას, ვინაიდან მამა აღარ იყო საქართველოს წარმომადგენლობის ხელმძღვანელი, ხოლო „პატარა გოგოსთვის“ საქმის ნდობაზე ორჭოფობდნენ. მოგეხსენებათ, მანქანების ბიზნესში მუშაობა ძალიან რთულია. რომ ჩავედი გერმანიაში, პირდაპირ უარი დამახვედრეს. მქონდა საქმიანი შეხვედრები, სადაც შევძელი დამემტკიცებინა მათთვის, რომ ბიზნესს წარმატებით წარვუძღვებოდი. ხუთწლიანი ბიზნეს-გეგმის წარდგენის საშუალება მომცეს. მეორე ვიზიტზე პრეზენტაცია მოვაწყვე. ის დიდ შოუს შეიძლება შევადაროთ: ფართო ეკრანის წინ ლაზერის კალმით შეიარაღებული დგახარ, ცხრილები და სქემები გაქვს მოშველიებული. ბიზნეს-გეგმა მომავალი 5 წლის საქმიანობის ეკონომიკური ანგარიშია პოლიტიკური სიტუაციის გათვალისწინებით. პრეზენტაციამ წარმატებით ჩაიარა, სათაო ოფისმა ხუთწლიანი კონტრაქტი გამიფორმა. ამას როგორც კი ხელი მოეწერა, „დაიმლერ კრაისლერმა“ წამოიწყო უდიდესი აქცია ტრასეკას პროექტის ფარგლებში: გერმანიიდან დაიძრა 12 ტრაილერი, 12 მსუბუქი მანქანა და გაიარა მთელი ეს გზა, რომელშიც საქართველო ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მონაკვეთი იყო. ამიტომ გერმანიაში თათბირებზე ჩასულს ჩემს მოხსენებებს განსაკუთრებული ყურადღებით უსმენდნენ.



● მაკა ასათიანი შვილებთან

# „კახი ასათიანი“ დაარქვეს

**– ამ აქციას საქართველოს ტრასეკაზე „მოსეირნე“ ჭროხებმა მართლა შეუშალეს ხელი?**

– ეს გამოვლინდა „ქარავნის“ გავლისას. სტუმრები ამით განცვიფრებულები დარჩნენ. მაგრამ მანამდე ამას უსწრებდა საქართველოს არასაიმედო პოლიტიკურ ვითარებაზე ინფორმაციები, რომ თითქოსდა ყველა საერთაშორისო ძებნილი ტერორისტი ჩვენს ქვეყანაში იმალებოდა. ამიტომ განსაკუთრებული არგუმენტები გვჭირდებოდა, რომ მზად ვიყავით გაგვეტარებინა ტვირთი. ყველაფერმა კარგად ჩაიარა. მიხარია, რომ ამაში ჩემი წვლილია. ამის შემდეგ სათაო ოფისის ხელმძღვანელობის მადლობა მივიღე. ძალიან დამეხმარა ჩვენი ხელისუფლება, საქართველოს პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ უშუალოდ უმასპინძლა „დაიმლერ კრაისლერის“ წარმომადგენლებს.

**– ალბათ, არანაკლებ მნიშვნელოვან საქმიანობას ეწევით „აირზენაში“.**

– ჩემი მოსვლის შემდეგ ავიაკომპანიაშიც ბევრი გაკეთდა, გაიხსნა ახალი რეისები. რაც ყველაზე მეტად მახარებს, მესამე ბოინგი შემოგვემატა. მას კომპანიის ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებით მამაჩემის სახელი „კახი ასათიანი“ დავარქვით. ცოტა ხნის წინ ჩამოფრინდა კიდევ ორი პატარა, 12-კაციანი თვითმფრინავი შიდა რეისების განსახორციელებლად.

**– ქართული კომპანიის საერთაშორისო ბიზნესში ინტეგრირებაზე რას იტყოდით?**

– შეიძლება ითქვას, ამ მხრივ „აირზენა“ განებივრებულია. სხვათა შორის, პირველი ბოინგის ლიზინგი საქართველოს პრეზიდენტის უშუალო დახმარებით მოხერხდა. „აირზენას“ პარტნიორები არიან საერთაშორისოდ აღიარებული კომპანიები: „ბოინგი“, „სი-აი-სი“, „ლუფთანზა“. „ლუფთანზა-ტექნიკი“ უშუალოდ გვიწევს ტექნიკურ მომსახურებას, ჩვენს უსაფრთხოებაზე ზრუნავს. ამ ფაქტმა განსაკუთრებული როლი ითამაშა, მესამე ბოინგს როდესაც ვქირაობდით. იმედი გვაქვს, ეს ურთიერთობები გაღრმავდება. ჩვენს ღატაკ ქვეყანაში მგზავრის სიმცირე დიდ ავიაკომპანიებს საქართველოსთან რეისების დანიშვნის სურვილს აკარგვინებს. ჯერჯერობით სულ რამდენიმე კომპანია დაფრინავს, მაგრამ მომავალში მათი რიცხვი შეიძლება გაიზარდოს. მაგალითად, ჩვენ დავფრინავთ საფრანგეთში, მაგრამ „ფრანსაირი“ საქართველოში რეისებს არ ახორციელებს, შესაბამისი კონტრაქტი გვაქვს გაფორმებული, რომლის მიხედვითაც მხოლოდ ჩვენ დავფრინავთ. ამავდროულად, პარიტეტული ფრენის პრინციპი კონკურენციას აბალანსებს.

**– ქველმოქმედებას თუ ახორციელებთ?**

– ძალიან ბევრ განცხადებას ვიხილავთ. შეძლებისდაგვარად ვცდილობთ დავეხმაროთ ინვალიდ ბავშვებს სამკურნალოდ საზღვარგარეთ გამგზავრებაში, ან პერსპექტიულ ახალგაზრდებს სასწავლებლად წასვლაში. მოგვდის მრავალშვილიანი დედების წერილებიც. მათაც ვეხმაურებით.

**– რას იტყოდით ქალების დასაქმებაზე?**

– ავიაბიზნესში ბევრი ქალია დასაქმებული. ბოლო დროს ხომ ქალიც ისეთივე აქტიურია, როგორც მამაკაცი.

## ოჯახი

**– როგორია მაკა ასათიანი ოჯახში?**

– ჩემი ბიჭები საკმაოდ დიდები არიან. ვერ გეტყვით, რომ დიასახლისი ვარ. ეს საქმე დღესაც არ გამომდის. მიკვირს, როდესაც ამტკიცებენ, საქმის და ოჯახის შეთავსება შეგვიძლიაო. ბაზარში 2 საათს ვერანაირად ვერ დავხარჯავ, რასაც ჩემთვის ოქროს ფასი აქვს. ამ მონაკვეთში შეიძლება ძალიან ბევრი საქმე გავაკეთო. რა თქმა უნდა, დედა მეხმარება, შინაური საქმეები მოხსნილი მაქვს. ბავშვები ტაბუდადებული თემაა, მათ თავიდანვე მე ვზრდიდი. დილით სახლიდან ერთად გავდივართ და საღამოს ვიკრიბებით. ის ასაკი აქვთ უკვე, როდესაც თვითონაც დღის მანძილზე ძალიან დაკავებულები არიან. ეს სკოლაა, შემდეგ ცურვა, ფეხბურთი, მასწავლებლები. ბიჭებთან მთელი დღე კონფლიქტი შეიძლება გვქონდეს, რომ სახლში ფეხბურთი არ ითამაშონ. ვთვლი, რომ თვითონ უნდა გააკეთონ არჩევანი. თუმცა, ეს სპორტი ძალიან უყვართ. მე ვცდილობ ხელი შევუწყო. მთავარია, სკოლაში განათლება მიიღონ, ენები იცოდნენ. კერძო კოლეჯში დამყავს. თავად რუსულ სკოლაში დავდიოდი, ჩემგან განსხვავებით ბიჭები ქართულ სკოლაში შევიყვანე, სადაც სხვანაირად ასწავლიან მშობლიურ კულტურას, ისტორიას, ენას, ლიტერატურას. შემდეგ აუცილებელია უცხო ენების ცოდნა. ბიჭები ამჟამად ინგლისურს სწავლობენ, მომავალში კიდევ ერთი ენის ათვისებას დაიწყებენ. ეს საჭიროა, რათა ინტერნაციონალური თვალთახედვა ჩამოუყალიბდეთ, შემოფარგლულები არ იყვნენ. სკოლას არასოდეს ვაცდენინებ, ავადმყოფობის შემთხვევაშიც კი. ჩემთან იზრდება მარიანაც, ჩემი დისშვილი. იგი კლასიკური მუსიკითაა გატაცებული, უკრავს ფორტეპიანოზე. უკვე აქვს უამრავი პრიზი, როგორც გვეუბნებიან, ძალიან ნიჭიერი და პერსპექტიული მომავლის პატრონია. ამასწინათ სპივაკოვის მოწვევით მოსკოვში გამართულ კონცერტზეც გამოვიდა.

## პირადი

**– ნოსტალგია ხომ არ გიპყრობთ მას შემდეგ, რაც მოდის სამყაროს ჩამოშორდით?**

– ჩემი საქმე ბიძაშვილს, თეონა თავართქილაძეს გადავაბარე. ესაა ჩემი არჩეული საქმე, რომელიც მიყვარდა. მასთან წლების მუშაობა და ამაგი მაკავშირებს. მივდივარ ხოლმე, გადავხედავ საქმეს. ქალი ყოველთვის ადევნებს თვალს მოდის ცვლილებებს, მე – ცოტათი მეტად, ვინაიდან პროფესიონალად ვითვლებოდი.

**– ახლახან გამართულ სილამაზის კონკურსში ჟიურის წევრადაც მიგიწვიეს...**

– ჟიურის წევრობაზე არასოდეს ვამბობ უარს. ვცდილობ ობიექტურად შევაფასო კონკურსი.

**– რჩება თუ არა მაკა ასათიანს დრო მეგობრებისთვის?**

– ძალიან მეწუწუნებიან – აღარ გვირეკავ, აღარ გველაპარაკებიო. ვცდილობ, საქმიანი შეხვედრების შუალედებში შევხვდე. ასეთ შეხვედრებს უმეტესად სასტუმრო „მარიოტში“ ვგეგმავ, სადაც ცალკე მაგიდაზე მეგობრებს ვპატიჟებ.

**– პარიზი თქვენს ცხოვრებაში?**

– ამ ქალაქს ჩემს გულში განსაკუთრებული ადგილი უკავია. მიხარია, რომ საბაბი მაქვს „აირზენას“ პარიზის წარმომადგენლობაში ჩავიდე ხოლმე. ამ შესაძლებლობით მისარგებლია კიდეც. ვისაც პარიზში უცხოვრია, ყველას რჩება ასეთი ლტოლვა. არ გავა ნახევარი წელი, რომ არ გაგიჩნდეს იქ მოხვედრის სურვილი. ქუჩაში ერთი გავლაც კი უამრავი ინფორმაციით გავსებს, საქმისგან გადაღლილი ზოგჯერ ვნატრობ: 3 წუთით პარიზის კაფეში დამსვა და მთელი სიცოცხლე მეყოფოდა...

ესაუბრა თამარ ნინიძე

# „ჯანმრთელობის სახლი“

**სამკურნალო-დიაგნოსტიკური კლინიკა „ჯანმრთელობის სახლი“ თანამედროვე ტექნოლოგიური დონით, უახლესი სამედიცინო აპარატურითა და მაღალკვალიფიციური საექიმო პოტენციალით სანიმუშოა რესპუბლიკაში. კლინიკის ხელმძღვანელია თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის მეანობა-გინეკოლოგიის კათედრის დოცენტი, ექსპერიმენტული სამშობიარო სახლის დირექტორი ბ-ნი ამირან ქორიძე – უზადო სპეციალისტი და ამასთანავე, ენერგიული, მზრუნველი და მიზანმიმართული ადამიანი, რომლის პროფესიონალიზმსა და გამოცდილებას ოჯახური ტრადიციებიც განაპირობებს.**

### „შიდა სამზარეულო“

„ჯანმრთელობის სახლი“ დიდ მნიშვნელობას ანიჭებს პაციენტისათვის გულთბილი და სასიამოვნო გარემოს შექმნას, მაქსიმალურად მაღალ დონეზე მომსახურებას, სრულფასოვან, კომპლექსურ გამოკვლევასა და მკურნალობას.

აქ ყველა პირობაა შექმნილი იმისათვის, რომ პაციენტს არ დასჭირდეს გაგზავნა სხვა სამედიცინო დაწესებულებებში და გამოკვლევისა და მკურნალობის სრული კურსი სწორედ აქ გაიაროს. კლინიკა მდებარეობს ტრადიციული და მრავალპროფილიანი პირველი კლინიკური საავადმყოფოს ბაზაზე და საჭიროების შემთხვევაში დროულად ტარდება სხვადასხვა სპეციალისტთა კონსულტაციები.

კლინიკის ოთხივე სართული კეთილმოწყობილია: პაციენტების განკარგულებაშია ერთადგილიანი პალატები და პალატა-ლუქსები ინდივიდუალური ტუალეტებითა და საშხაპეებით, კომფორტული ავეჯით, სრულყოფილი კომუნიკაციებით, ინდივიდუალურად შერჩეული დიეტით და სამჯერადი კვებით. თითოეულ პაციენტს რამდენიმე ექთანი ემსახურება.

„ჯანმრთელობის სახლში“ გახსნილია „ოჯახის ექიმის“ ინსტიტუტი. შესაძლებელია დისპანსერული დაკვირვებები ცალკეულ პირსა თუ ოჯახის ყველა წევრზე. წელიწადში ორჯერ წარმოებს კლინიკოლაბორატორიული გამოკვლევები და პროფილაქტიკური გასინჯვები სპეციალისტების მიერ. პაციენტებს ეძლევათ რეკომენდაციები და ენიშნებათ მკურნალობა. გათვალისწინებულია ბინაზე მომსახურებაც. ფუნქციონირებს დღის სტაციონარი.

### სამედიცინო პერსონალი

„ჯანმრთელობის სახლი“ დაკომპლექტებულია მედიცინის დარგის სხვადასხვა პროფილის მაღალკვალიფიციური სპეციალისტებით. მიუხედავად იმისა, რომ ექიმებისა და საშუალო სამედიცინო პერსონალის უმრავლესობა ახალგაზრდაა, მათ უკვე დაიმკვიდრეს თავიანთი ადგილი მედიცინაში და კარგი იმიჯიც შეიქმნეს.



კლინიკაში მოღვაწეობენ ულტრაბგერითი კვლევის წამყვანი სპეციალისტები: ანდრო ძნელაძე – დიაგნოსტიკური განყოფილების გამგე; პაატა მახარაძე, ამირან გურგენიძე და მრავალი სხვა. აქვე შეგიძლიათ მიიღოთ მეან-გინეკოლოგის, თერაპევტის, ნევროპათოლოგის, ალერგოლოგის, მამოლოგის, ენდოკრინოლოგის, რეპროდუქტოლოგის ანდროლოგის, ქირურგის, პროქტოლოგის, ორთოპედ-ართროლოგის კონსულტაციები.



კლინიკის ხელმძღვანელი ამირან ქორიძე



საოპერაციო ბლოკი

### გამოკვლევები

„ჯანმრთელობის სახლში“ გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება სწორი დიაგნოზის დასმას და შემდგომ მკურნალობას. მიუხედავად იმისა, რომ კლინიკა აღჭურვილია უახლესი სამედიცინო აპარატურით, აქ, პირველ რიგში, პაციენტის ჯანმრთელობის პრობლემას წყვეტს ექიმის პროფესიონალიზმი და მკურნალობისადმი სწორი მიდგომა.

„ჯანმრთელობის სახლში“ ტარდება შემდეგი გამოკვლევები: ულტრაბგერითი და ლაბორატორიული (24-საათიანი მომსახურება), კარდიოტოკოგრაფია, ნეიროსონოსკოპია, კარდიოექოგრაფია, მამოგრაფია, რენტგენი, რენტგენო-მამოგრაფია, ძვლის დენსიტომეტრია. ენდოსკოპიური გამოკვლევები: ჰისტეროსკოპია, ცისტოსკოპია, გასტროფიბროსკოპია, კოლონოსკოპია. მკურნალობენ უშვილობას, ბუასილს მაღალეფექტური „უსისხლო მეთოდით“. დანერგილია ლაზეროთერაპია და ფაზეროთერაპია.

ფუნქციონირებს ორსულთა სკოლა, ფიზიოთერაპიის და რეაბილიტაციის კაბინეტები, სპორტული დარბაზი, კეთდება სამკურნალო მასაჟი ექიმ-ინსტრუქტორის მეთვალყურეობით.

კაბინეტები აღჭურვილია „მედისონის“ ფირმის უახლესი ციფრული, ფერადი, სამგანზომილებიანი აპარატებით, რომლებზეც ულტრაბგერითი კვლევის სპეციალისტები აწარმოებენ ყველა სახის

# ხუთვარსკვლავიან სასტუმროს ჰგავს



● კლინიკის დირექტორი ლიანა ქორიძე

ულტრაბგერით გამოკვლევებს, კერძოდ: სამეანო, გინეკოლოგიური, მუცლის ღრუს ორგანოების, უროლოგიური, ფარისებრი ჯირკვლის, სარძევე ჯირკვლის და სახსრების. ხდება ნაყოფის სქესის დადგენა.

ლაბორატორია აღჭურვილია „როშეს" ფირმის უახლესი აპარატებით, კომპიუტერული ანალიზატორებითა და მაღალი მგრძნობელობის გერმანული რეაქტივებით. ტარდება უზუსტესი ბიოქიმიური ანალიზები ექსპრეს-მეთოდებით, ჰორმონალური, იმუნოფერმენტული და ონკომარკერების კვლევები.

### სამეანო და ქირურგიული განყოფილება

სამშობიარო და საოპერაციო ბლოკები აღჭურვილია ყველა საჭირო სამედიცინო აპარატურით, ხელსაწყო-ინვენტარით და მედიკამენტით.

კლინიკაში სრულდება ფართო პროფილის ოპერაციები – სამეანო, გინეკოლოგიური, სარძევე ჯირკვლის, სანაღვლე გზების, თიაქარის და სხვა, როგორც ტრადიციული, ასევე ლაპარასკოპიული მეთოდით. ოპერაციებს აკეთებენ კლინიკის წამყვანი სპეციალისტები ამირან ქორიძის ხელმძღვანელობით, აგრეთვე სხვა კლინიკებიდან მოწვეული სპეციალისტები პაციენტის სურვილის გათვალისწინებით.



● ახალშობილთა პალატა. მედდა ვიკა ჩილინდრიშვილი

აღსანიშნავია, რომ თიაქარპლასტიკის ოპერაციები, როგორც თანდაყოლილი, ისე პოსტოპერაციული, კეთდება უცხოური ფირმის ბიოლოგიური ბადეების გამოყენებით, რომელიც რეციდივს გამორიცხავს.

### კავშირები საზღვარგარეთთან

„ჯანმრთელობის სახლში" დიდ ყურადღებას უთმობენ მედიცინის სიახლეების დანერგვას, რეგულარული კავშირი აქვთ სხვადასხვა ქვეყნის წამყვან კლინიკებთან და სპეციალისტებთან. თავიანთ სპეციალისტებს აგზავნიან სტაჟირებაზე კვალიფიკაციის ასამაღლებლად და უახლესი ტექნიკის შესასწავლად. უფრო მჭიდრო კონტაქტები აქვთ მოსკოვის, გერმანიის, იტალიის და ისრაელის წამყვან კლინიკებთან.

გარდა ამისა, ინტერნეტის საშუალებით უკავშირდებიან სხვა ქვეყნების სამედიცინო დაწესებულებებს და საჭიროების შემთხვევაში ატარებენ კონსულტაციებს, აჯერებენ კვლევის მონაცემებს.

### სამომავლო გეგმები

„ჯანმრთელობის სახლში" სამომავლოდ გათვალისწინებულია ლაბორატორიული კვლევის გაფართოება, ახალი ტექნოლოგიების, დიაგნოსტიკის და მკურნალობის უახლესი მეთოდების დანერგვა. ახლო მომავალში ფრანგი სპეციალისტები დაამონტაჟებენ სპირალური, სამგანზომილებიანი, კომპიუტერული რენტგენო-ტომოგრაფიის აპარატურას.

**ნინო ლიბრაძე**

***მისამართი: წინანდლის ქ. №9, მეტრო „300 არაგველთან".***
***ტელ.: 77-19-06; 77-19-07.***

ინფორმაცია

## რესპუბლიკური ქალთა საბჭო მეტ პასუხისმგებლობას კისრულობს

კინოს სახლში გაიმართა საქართველოს ქალთა საბჭოს წევრთა საერთო კრება, რომელსაც ხელმძღვანელობდა ქალთა საბჭოს საპატიო თავმჯდომარე, აკადემიკოსი ნინო ჯავახიშვილი. მოისმინეს განვლილ პერიოდში ჩატარებული მუშაობის ანგარიში, გაიმართა გამგეობისა და კომიტეტების არჩევნები.

საბჭოს მიერ ჩატარებული მუშაობა ლტოლვილთა, ომის მონაწილეთა, პენსიონერთა, უდედმამო ბავშვთა, პატიმარ ქალთა, მსჯავრდებულ არასრულწლოვანთა დახმარების საქმეში შეფასდა დადებითად. მაგრამ ამასთან ერთად აღინიშნა დიდი ნაკლოვანებები დედათა და ბავშვთა უფლებების დაცვის, ეკონომიკურად დაუცველ მოქალაქეებზე ზრუნვის საქმეში. კრებაზე ითქვა, რომ მთავარია მეტი ყურადღება მიექცეს ხელფასების, პენსიების და დახმარებების დროულად გაცემას. ამ ნაკლოვანებებზე თავიანთ გამოსვლებში ისაუბრეს პროფესორმა ნანა ხაზარაძემ, აფხაზეთის, ვაკე-საბურთალოს, ისანი-სამგორის ქალთა საბჭოს თავმჯდომარეებმა, როზა კუხალაშვილმა, ქეთევან ქუთათელაძემ, მანანა გოჩალეიშვილმა, ლია ლომიძემ, ხანდაზმულთა სახლის დირექტორმა მერი გოგოლმა, საქართველოს სახალხო არტისტმა დოდო ჭიჭინაძემ, გულნარა სტურუამ. აღინიშნა იმის შესახებაც, რომ ქალთა საბჭო უფრო მწვავედ უნდა აყენებდეს ხელისუფლების წინაშე ქალთა პრობლემებთან დაკავშირებულ საკითხებს.

განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო ქალთა დასაქმების, ინვალიდ ქალთა და ბავშვთა დასაქმების სრულიად არადამაკმაყოფილებელ მდგომარეობას და მთავრობის დადგენილებების შეუსრულებლობას.

მიღებულ დადგენილებაში გათვალისწინებული იქნა ღონისძიებანი მდგომარეობის გამოსასწორებლად.

აირჩიეს საბჭოს გამგეობა 11 კაცის შემადგენლობით: გამგეობის თავმჯდომარედ – ზინაიდა კვაჭაძე, მოადგილეებად – პროფესორი ნანა ხაზარაძე, აფხაზეთის ქალთა საბჭოს თავმჯდომარე – როზა კუხალაშვილი, ქალთა საბჭოს საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარედ – ქეთევან გაბრუაშვილი.

ცალკეული პრობლემების მიხედვით შეიქმნა კომიტეტები: ლალი გუჯაბიძის, მადონა მგელაძის, ცისანა ქოჩეჩაშვილის, ვენერა მესხის და ნინო ელიზბარაშვილის თავმჯდომარეობით. პრესცენტრის ხელმძღვანელობა დაევალა მანანა იმესაშვილს, სარევიზიო კომისიისა – ლილი არობელიძეს.

კრებამ ქალთა საბჭოს საპატიო წევრის წოდებები მიანიჭა აკადემიკოსებს ეთერ ქემერტელიძეს, ნათელა ვასაძეს, მზექალა შანიძეს, პოეტს და დრამატურგს მარიკა ბარათაშვილს, პროფესორ თამარ გოთუას.

კრების მონაწილეებს დაურიგდათ საცნობარო მასალები, რელიგიური ლიტერატურა.

**ქალთა საბჭოს პრესცენტრი**

# ადამიანი ერთ მუზას



**ნათია გოგოჭურის და ზაზა კოლელიშვილის ოჯახი – ხუთი შვილი, სიძე, ორი შვილიშვილი, მარად მაძიებელი სულის ცოლ-ქმარი. გულახდილად გესაუბრობთ. ზაზა ავტოგრაფით, იქვე, სახელდახელოდ შესრულებულ ჩანახატს მიტოვებს. სამაგალითო წყვილი ჩვენი ჟურნალის სტუმარია.**

**ქ-ნო ზაზა, თელავში გამორჩეულია თქვენი ოჯახი: მამა ვიქტორ კოლელიშვილი, დედა – ჩვენი კოლეგა ნუნუ მატარაძე ნიჭიერი, საინტერესო ქალბატონი, რაიონული გაზეთის წამყვანი მუშაკი, ბიძა ცნობილი კინორეჟისორი, ადრე წასული გია მატარაძე, სინდის-ნამუსიანი წინაპრები. ბედნიერი ბავშვობა გქონდათ?**

– ნანატრი ბავშვი ვიყავი, პირველი შვილი, პირველი შვილიშვილი, მშობლები, ხუთი ბებია თავს მევლებოდნენ. ყველანი ჩემს განკარგულებაში იყვნენ, სულ ჩამესმოდა – რა ვაჭამოთ, რით ვასიამოვნოთ, სად წავიყვანოთ. ჩემს მსახიობად, კაცად ჩამოყალიბებაში უდიდესი როლი ბიძაჩემმა გიამ ითამაშა. ჩემზე თექვსმეტი წლით უფროსი იყო, 32 წლის გარდაიცვალა, მაინც ბევრი მოასწრო.

**– თქვენ ხომ პერსპექტიული სპორტსმენი იყავით?**

– ხელბურთზე დავდიოდი, საქართველოს ჩემპიონი ვიყავი კრივში, ადრევე მივხვდი, ადამიანი ერთ მუზას უნდა ემსახურებოდეს. მაშინდელი გადასახედიდან მეგონა ვქმნიდი, ახლანდელით – ვფიქრობ ვაკეთებდი, სულ რაღაცას ვაკეთებ.

**– არც თუ ისე ურიგოდ ხატავდით...**

– ძიების წლებია ასეთი. დავამთავრე ფილოლოგიური ფაკულტეტი, სახვით ხელოვნებაში, ქანდაკებაშიც ვცადე ბედი. სწორი არჩევანი გავაკეთე, როცა დავამთავრე თეატრალური ინსტიტუტი.

**– როგორ აღმოგაჩინეს? ცეცხლოვანი, ენერგიული, ქართული ტრადიციების მიმდევარი შეთე თქვენი პირველი როლია. რა მოგიტანათ ფილმის რეჟისორთან მუშაობამ, როგორ მოხვდით ამ შესანიშნავ მსახიობთა თანავარსკვლავედში?**

– გიას წყალობით. თელავში „ნატვრის ხის" ტიპაჟის შესარჩევად ჩამოვიდნენ: ბატონი თენგიზ აბულაძე, რეზო კვესელავა, რევაზ ინანიშვილი. ოჯახში მოვიწვიეთ. გია თენგიზის გამორჩეული მოწაფე გახლდათ. რამდენიმე ბიჭი შეგვარჩიეს, ჩემზე საგანგებოდ შეაჩერეს ყურადღება. მე და მაია, დუტა სხირტლაძის დედა, თელავის თეატრის კულისებში ვართ გაზრდილები, პატარაობისას „თევდორესა" და „მედეაში" პატარ-პატარა როლები გვქონდა ნათამაშები. შეთეს როლზე აუარებელი პრეტენდენტი იყო. გამიმართლა და ჩემი ბედიც ამან გადაწყვიტა. 18 წლის ვიყავი მაშინ, როცა ფილმი ეკრანზე გამოვიდა ოცისა, – უკვე თეატრალური ინსტიტუტის სტუდენტი. პარალელურად მიღებდნენ: გია დანელიას „მიმინოში", „ამკლების დაბრუნებაში", ლიტველი რეჟისორი მარიონის გედრისი „მტვერი მზის ქვეშ".

ბედნიერი ვარ, სამ უძლიერეს, განსხვავებული სკოლის რეჟისორთან რომ მქონდა შემოქმედებითი ურთიერთობა. ბატონ თენგიზს ახასიათებდა უდიდესი ყურადღება და გულისხმიერება ახალგაზრდებისადმი; მთელი ბედნიერება იყო გია დანელიას სრულიად განსხვავებულ სამსახიობო სკოლასაც რომ გავეცანი. („შეთეა ჩვენი დამღუპველიც და აღმშენებელიც" – კისკისებს ნათია).

**– ხომ არ გწყინდათ ლამის მურტალო რომ შეგერქვათ ქეთი დოლიძის ფილმიდან „კუკარაჩა", თქვენეული კეთილშობილება რომ შემატეთ მის უარყოფით გმირს. ნაწარმოების ავტორს იცნობდით?**

– მადლობელი ვარ, რომ შეგნებული პერიოდი გავატარე ნოდართან. ყველაფერი იცოდა ჩემი, დიდი დასაყრდენი დავკარგე. მისმა კეთილშობილებამ გარდაცვალების მერეც იმოქმედა ჩემზე და ჩემს მომავალზე, უთაობით ბევრი დავაკელი ჩემს თავს. მურტალოთი ახლაც მომმართავენ, კანონზომიერია, საწყენი ამაში არაფერია. ისეთი სახასიათო ტიპი შექმნა მწერალმა, დროს გაუძლებს.

**– გადავუხვიოთ თემას და ჩვენი ჟურნალის პროფილს მივხედოთ – ჟურნალი ოჯახისა და ქალებისთვისაა. გყავთ მშვენიერი ოჯახი, ყოველმხრივ მომხიბლავი მეუღლე, ხუთი ნიჭიერი შვილი, რომლებიც მიდრეკილები არიან მსახიობობისაკენ. რა სპეციალობა უნდათ?**

– მშობლის ვალია, შვილებს სწორი არჩევანის გაკეთებაში დაეხმაროს, აუხსნას, დააკვალიანოს, სულიერებისკენ მოუწოდოს. ადამიანი არ არის ქვის ან მუყაოს ქმნილება, ყველაფერი თავიანთ თავს დააბრალონ, ჩვენი ვალია არაფერი დავაკლოთ. გოგონას მენეჯერობა სურს, ბიჭმა ბედი კინოში მოსინჯა, მოსწონს. ჩემი გზის გაგრძელება უნდა: ჯერ მსახიობობა, მერე რეჟისორობა.

**– ქ-ნო ნათია, როგორი მეუღლეა ზაზა, სად გაიცანით, როგორ შეგიყვარდათ. ეჭვიანი ხართ, ასე მგონია მსახიობების მეუღლეებს, თანაც ასეთი პოპულარულის, მოუსვენარი ცხოვრება აქვთ. რა დამოკიდებულება გაქვთ მის პარტნიორ ქალებთან, თქვენ ხომ მისი სცენარების ხან ავტორი, ხანაც თანაავტორიც ხართ?**

– ვთვლი, რომ ადამიანმა უნდა გაიაროს ბავშვობის, გოგოობის, სიყმაწვილის წლები და მერე მოეკიდოს ოჯახს, რამეთუ ქალისთვის მთავარი ოჯახია, გამოკვეთილად აქტიური ვიყავი, რასაც კანონზომიერებას მივაწერ, მამა – დავით გოგოჭური პროფესორი, ფოლკლორისტი იყო. ჩვენ ოჯახებით ვმეგობრობდით, მე-9 კლასში ვიყავი, როცა ზაზა დედასთან ერთად თელავის ქუჩაში გავიცანი, ნუნუს უთქვამს, ნახე, რა კარგი გოგოაო. შემდეგ შევხვდით თეატრალურ ინსტიტუტში, არა როგორც უბრალო ნაცნობები, დავმეგობრდით, ურთიერთობა სიყვარულში გადაიზარდა. თავად მსახიობმა კარგად ვიცი, რა არის პარტნიორი, არასოდეს მქონია ეჭვიანობის პრეცენდენტი. როცა ადამიანი გიყვარს, გიყვარს მისი წარსულიც და აწმყოც, პლიუს-მინუსებიანად. რომელიმეს გაიდეალება არაა საჭირო. მყავდა არაჩვეულებრივი დედამთილი, მტერ-მოყვრის შეკავშირების ოსტატი, ახლა უფრო განვიცდი უმისობას, როცა აღარ არის, ვნატრობ ენახა ჩვენი ოჯახი, შესწრებოდა ზაზას წარმატებებს, შვილიშვილებს დააკლდათ უფრო. ბედნიერია ნინო, მასთან იზრდებოდა, გაამართლა, იმხელა სითბო და კეთილშობილება მოდის მისგან. პატივს ვცემ ოჯახს, მის ტრადიციებს, ასევეა ზაზა. ემანსიპირებული ქალი არა ვარ.

მაღიზიანებს, როცა ქალი იტყვის, მეტ შვილს ვერ გავაჩენ, პირობები არა მაქვსო. ყველა ერთი შვილის დედა ეგოისტია. სიბერისთვის უნდა ის ერთი, წყლის მიმწოდებლად.

**– რას საქმიანობთ, რითი ხართ დაკავებული, როგორ არიმევთ თავს ამ შეჭირვებულ ყოფას, ვინ გეხმარებათ, ფაქტიურად დღეს ხომ არ არსებობს ქართული კინო?**

– ნათიას უჭრის კალამი, აქვს ორგანიზატორული ნიჭი. ტელეიმედმა გვიხსნა, – ოთარ შამათავამ და ბიძინა ბარათაშვილმა. თითქმის არ გავჩერებულვართ, სულ ვმუშა-

# უნდა ემსახურებოდეს



● ნინო, რატი, ელენე, ბაჩანა, ვიტო, კესო, თორნიკე



● კადრი ფილმიდან „დღეს ღამე უთენებია“

ობთ ფილმებზე, კლიპებზე, რეკლამებზე. ამ არხმა ბევრი ნიჭიერი, დაუსაქმებელი ადამიანი დაასაქმა, შემოქმედებითი შიმშილისგან იხსნა ინტელიგენცია. ზოგან კარსაც არ გიღებენ, პოპულარული ქართული კინოს ეტაპი დამთავრდა, ახლა სხვა სახით, სხვა ტექნოლოგიით იქმნება ახალი. გვერდში გვიდგას სტუდენტობისდროინდელი სამეგობრო. უშურველად გვეხმარებიან ვაჟა ლორთქიფანიძე, ავთო საყვარელიძე, გივი ასათიანი, ნუგზარ ფალიანი, ჩვენ რომ რაიმე გაგვიჩნდება, სხვებსაც ვუწილადებთ. ზოგჯერ სხვისი პატივისცემითაც იღლები.

**– ბ-ნო ზაზა, ბევრმა ჩვენმა სახელოვანმა კინორეჟისორმა თავი მიანება კინოს და გადაინაცვლა პოლიტიკაში. ამ წინასაარჩევნოდ რომელიმე პარტიამ ხომ არ გადაგიბირათ?**

– არანაირი სურვილი არა მაქვს გაპარლამენტარების. მირჩევნია ვიყო აპოლიტიკური, არავის ვეკარები, თუმცა თითქმის ყველა პარტიაში ჩვენი მეგობარია, ჩემი პოზიცია კი ნამდვილად მაქვს, არც პოზიცია და არც ოპოზიცია არ ითვალისწინებს ჩემს პოზიციას. ერი უნდა გადარჩეს. ჩვენ ნელ-ნელა ვშენდებით, ერი ამბობს თავის სიტყვას, ამის არდანახვა უსინდისობაა. 50 წელიწადში მსოფლიოში ერთ-ერთი ბებერი ერი ვიქნებით. ხან რომანტიკოსი ვარ, ხანაც სენტიმენტალისტი. ოცნებაში ყველა რომანტიკოსია.

**– ქ-ნო ნათია, ბედნიერად თვლით თავს? რა თქმა უნდა, ასეთი მრავალრიცხოვანი ოჯახის თავქალი უპრობლემო ვერ იქნებით. რაზე გტკივათ გული, რის გამოსწორებას ინატრებდით?**

– მცნება ბედნიერება ზოგადია. გააჩნია, ვინ რაში ხედავს მას. ბედნიერება პური არაა, გახვიდე და იყიდო. ვიღაცისთვის ავტომანქანა, ფუფუნების საგნები, ფული, სახლია ბედნიერება. ჩემი ბედნიერება ჩემი ოჯახი, ჩემი შვილები, ჩემი და ზაზას შემოქმედებაა. საკვები პრობლემაა, უიმისობას უბედურებას ვერ დავარქმევ. ვიცი, შვილები კარგები დაიზრდებიან, ამისი მონაცემები მათში არის. ვდარდობ, რომ რამე არ დავაკლო, უსახსრობის გამო გული არ ეტკინოთ. ბედნიერებაა ჩემი მეგობრები, მათთან ყოფნა, არასოდეს მაქვს უკმარისობის გრძნობა. უბედურება არაა, რომ შუქი არაა და ტელევიზორს ვერ ვუყურებთ. მე თუ მკითხავთ, დიდი ბედნიერებაა, როცა სანთლის შუქზე საღამოს მთელი ოჯახი ერთად ვართ, ვხალისობთ, ურიგო არ იქნება ჩვენი მთავრობაც რომ იჯდეს ხანდახან სანთელთან. გაუფაქიზდებათ და დაეხვეწებათ სული ფიქრისთვის, დადებითი მუხტისთვისაა სანთელი შექმნილი.

**– ბ-ნო ზაზა, თქვენს შემოქმედებას მივუბრუნდეთ. რა არის „ოტელო საქართველოში“, კერძოდ „ოტელო კახეთში“. რა ორიგინალური სათაურია, ვისი სცენარია?**

– საავტორო ფილმების ტელე „იმედის“ მთავარი პროდიუსერის ოთარ შამათავას პროექტია. სულ ექვსი ორმოცწუთიანი ფილმია. შიდა ქარგა „ოტელოდანაა“, დღევანდელობასთან მისადაგებული, თითო ფილმს იღებს თავისი რეჟისორი: ბ-ნი მერაბ კოკოჩაშვილი, გოდერძი ჩოხელი, ნანა ჯანელიძე, პაატა მილორავა, ოთარ ლითანიშვილი (უმცროსი) და თქვენი მონა-მორჩილი ზაზა კოლელიშვილი. ორი სცენარი ნათიასია. ნათია მრავალმხრივი პიროვნებაა. ჩემი თანამოაზრე, ყველაფერში სრულუფლებიანი პარტნიორი, ჩემი დოკუმენტური ფილმების პროდიუსერი, მაგალითია იმისა, თუ როგორ ეწირება ერთი შემოქმედი მეორეს. ფილმების ჩვენება ამ ტელეარხზე ექვსი დღე გაგრძელდება. საინტერესო პროექტია. ჩემს ფილმში – „ოტელო კახეთში“ ჩვიდმეტი მსახიობი მონაწილეობს: მარინა კახიანი, დუტა სხირტლაძე, თემურ ნაცვლიშვილი, ჯაპანა, დათო როინიშვილი, მივაგენით სესილია თაყაიშვილისმაგვარ ნაირა გელაძეს. კურიოზს და თავსატეხს დღევანდელ რეჟისორს რა გამოულევს, ფიქრს სმა-ჭამაზე, შუქზე, თავს ვერაფერს გავართმევდი, რომ არა კახეთის გუბერნატორი ბიძინა სონღულაშვილი. გადაღებები გურჯაანში გვქონდა, გაუთავებელი ქეიფების გამო თელავს შეგნებულად ავუარეთ გვერდი. გუბერნატორი ზედ გადაგვყვა, თითქოს თავის პრობლემებში არ იხრჩობოდეს, ლამის შეგვეწირა, მთელი გურჯაანი ჩვენთან აღამ-ათენებდა.

**– თეატრში ხომ არ გიცდიათ ბედი?**

– მე და ნათიამ რუსთაველის თეატრში დავიწყეთ მუშაობა. მქონდა ბედნიერება, ვყოფილიყავი რობერტ სტურუას, რამაზ ჩხიკვაძის, იზა გიგოშვილის, თათული დოლიძის, ჟანრი ლოლაშვილის გვერდით...

**– ბ-ნო ზაზა, „ნატვრის ხე“, „კუკარაჩა“, „გარიგება“ – ძალზე გახმაურებულია. ნაკლებცნობილ ფილმებზე რას გვეტყვით?**

– ვერ დაგეთანხმებით. მსახიობისთვის მეორეხარისხოვანი ფილმი, ეპიზოდური როლი არ არსებობს. ახალგაზრდების პრობლემებზე შექმნილ ფილმში „ისინი“ მამაკაცის საუკეთესო როლის შესრულებისთვის ოქროს არწივი მივიღე. მიყვარს „დედუნა“, „ათოვდა ზამთრის ბაღებს“ (რეჟ. გოგი ლევაშოვ-თუმანიშვილი), „ახალგაზრდა კომპოზიტორის მოგზაურობა“, „ხარება და გოგია“. ფილმში „ომი ყველასათვის ომია“ – იაკობ ჯულაშვილის როლი განვასახიერე. ჩვენი სამარცხვინო ომის დროს გამოვიდა ეს ფილმი და მაყურებელმა ისე ვერ მიიღო.

**– ამბობენ, „გარიგება-2“-ის გადაღებას აპირებთ, სცენარი ვისია?**

– პირველი „გარიგების“ სცენარი დედაჩემმა და ნათიამ შექმნეს. დედამ სიუჟეტი სცენარისათვის სინამდვილიდან, სასამართლო დარბაზიდან აიღო – კახეთში მოხდა ეს ამბავი. მიუნხენში ბისეკის ფესტივალზე რძალდედამთილმა სცენარისათვის პრიზი დაიმსახურა: მსახიობთა იგივე შემადგენლობა იქნება ამ ფილმის გაგრძელებაში. სცენარი ნათიასია: მაროს აქვს გახსნილი შპს „მაჭანკალი“, მარტოხელა მოხუცებს „აბედნიერებს“. ჩემი აზრით, პირველს აჯობებს.

**– როგორია რეჟისორ ზაზა კოლელიშვილის თვალით შეფასებული მსახიობი ზაზა კოლელიშვილი?**

– შესაძლებლობა რომ მომცა, სულ გადავიღებდი და გადავიღებდი. საქმე იმაშია, რომ რეჟისორ ზაზა კოლელიშვილს გაუთავებელი კონფლიქტი აქვს მსახიობ ზაზა კოლელიშვილთან.

**– თუ მაყურებლის თვალით ვიმსჯელებთ, თქვენი ყველა როლი ისეთი სრულყოფილი, მაღალი პროფესიონალიზმითაა შესრულებული, წუნს ვერ უპოვი, ამაზე თქვენი უამრავი ჯილდო და პრიზი მეტყველებს, მაგრამ მაინც ზოგჯერ უკმარისობის გრძნობა ხომ არ გაქვთ ხოლმე?**

– ყველა როლის შემდეგ ვფიქრობ,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომ მეტი შემეძლო, ჩემი საუკეთესო როლი ჯერ არ მითამაშია. ეს ათი წელი „უნებურად" დაგვასვენეს, მაქვს მოლოდინი რაღაც საუკეთესოსი, საკუთარ თავში ძიების გაუთავებელი პროცესი. მაქვს საინტერესო სცენარები, რომლებშიც ვითამაშებდი. ასაკის გამო უფრო ასაკოვანი როლები შემეფერება.

**– რამდენ ფილმში მონაწილეობდით და რამდენი ფილმის რეჟისორი ხართ?**

– 35 ფილმის მსახიობი გახლავართ, 20 როლი თეატრში განვასახიერე. ვარ ხუთი ფილმის რეჟისორი, აქედან ორი მხატვრულის და სამი დოკუმენტურის. რამდენიმე კლიპი და რეკლამაც შევქმენი მაყურებელს. „უზბეკფილმშიც" და „ტაჯიკფილმშიც" მითამაშია.

**– ქ-ნო ნათია, ბ-ნო ზაზა, როგორ აფასებთ თქვენს გავლილ გზას?**

– ვთვლით, რომ ჩვენს ოჯახურ და შემოქმედებით ტანდემს შესანიშნავად გავართვით თავი.

**– როგორი მამა ხართ?**

– ვცდილობ, ხანდახან მკაცრი ვიყო, არ გამომდის. ნამდვილი იტალიური ოჯახი გვაქვს, დადებით ემოციებსაც ხმაურით გამოვხატავთ.

**– ბ-ნო ზაზა, თქვენ კიდევ ერთი გამორჩეული თვისებით დაგაჯილდოვათ ბუნებამ – შესაშური იუმორით, რაც ნიჭირებიდან მოდის.**

– თუ კახურ ხასიათზე ვარ, კაცი ვერ მომეკარება, გინებაც ვერ მოვიშალე. იყო დრო, იუმორს ვერ ვიტანდი, ან რა საიუმოროდ გვქონდა საქმე. ბედნიერი ვარ ძველ მეგობრებთან, სასიამოვნო გარემოში ისე ვგრძნობ თავს, როგორც თევზი წყალში, მაშინ მოიაზრება ზაზა კომედიურ ჟანრში.

**– ქ-ნო ნათია, ერთმა თანამედროვე ცნობილმა მხატვარმა თქვა ასეთი რამ, შვილი არ ვიყოლიე, შემოქმედებაში ხელი შემეშლებოდაო. თქვენ როგორ ფიქრობთ, როგორი აღიარებული, დიდი მოღვაწეც არ უნდა იყოს ადამიანი, ოჯახია მისთვის უპირველესი თუ შემოქმედება?**

– ეს ფრაზა კომპლექსის დაფარვის მიზნითაა ნათქვამი, ზოგისთვის შემოქმედება შვილის ტოლფასია. ტატიანა დორონინამ სამი ქმარი გამოიცვალა და შვილი არცერთთან არ იყოლია. ის ალბათ იმ მხატვრის ტიპს განეკუთვნება. ბატონ სერგო ზაქარიაძეს ჰკითხეს, თუ თეატრში როლი გაქვთ და იმ დროს პელე თამაშობს, რომელს ირჩევდით? რა თქმა უნდა პელესო, – უპასუხა დიდმა მსახიობმა. ჩვენთვის პირველი ოჯახია, მის გამო გვიხარია ცხოვრება, შემოქმედებითი წარმატებები. ჩემი ყველაზე დიდი შედევრები ჩემი შვილები – სამი გოგონა, ორი ბიჭი და ორი შვილიშვილია. ქმარ-შვილის გამო მივატოვე რუსთაველის თეატრი, ჩემი თითოეული შვილი ჩემს პრემიერაზე მეტია. ზაზა იმდენად ნიჭიერი, საინტერესო, ყველაფრის მომცველია, რომ მისგან ვივსები. ნაკლებად ეგოისტი ვარ, შვილების და ზაზას წარმატებებით ვხარობ. ვიქმნით ისეთ გარემოს, როგორიც გვინდა და მოგვწონს.

**ესაუბრა ნანული ბუკია**

# „სალხინო"




საქართველოში ხალხური მედიცინა ოდითგანვე მაღალ დონეზე იდგა. წინაპრებმა დიდი საგანძური შემოგვინახეს, მისასალმებელია, რომ მამა-პაპათა ეს გამოცდილება სათუთად მოიტანეს ჩვენამდე მათმა შთამომავლებმა, დახვეწეს და თანამედროვე მასშტაბებით წარმოგვიდგინეს. ერთ-ერთი მათგანი ბატონი როინ ნაჭყებიაა, ფირმა „სალხინოს" პრეზიდენტი, რომელიც დღეს ჟურნალ „საქართველოს ქალის" რედაქციის სტუმარია მკითხველთა თხოვნით.

**– ბატონო როინ, მაინც რა წამალია „სალხინო", ასეთი ხმაურით რომ შემოვიდა?**

– პრეპარატი „სალხინო" მცენარეული ნედლეულისგან მიღებული ფხვნილია. იგი შესწავლილია მეცნიერულ დონეზე და დამტკიცებულია, რომ მას გააჩნია ანტიბაქტერიული, ანტისეპტიკური, შარდმდენი, ნაღველმდენი, ანალგეზიური და სისხლისდამწევი თვისებები. იგი განსაკუთრებით კარგად მოქმედებს სტრეპტოკოკებზე და სტაფილოკოკებზე. აქვს უნარი გამოდევნოს ჩირქი ნებისმიერი რბილი ქსოვილიდან ნებისმიერი არასპეციფიკური ინფექციის დროს. კომპლექსური მკურნალობის შემთხვევაში „სალხინო" რეკომენდირებულია ქალური და შარდსასქესო დაავადებებისას, გავის ძვლის, თირკმელების არეში ტკივილისას, ნეფრიტის, პროსტატიტის, ცისტიტის შემთხვევებში, როცა შეიმჩნევა შენელებული და გახშირებული შარდვა, შარდვის დროს წვა, გამონადენი, შარდის წვეთ-წვეთად გამოყოფა, მოშარდვის სურვილით დაუკმაყოფილებლობა, როცა ვითარდება სექსუალური მოშლილობა და იმპოტენცია. „სალხინო" აქრობს პირის ღრუდან უსიამოვნო სუნს, ეფექტურია გინგივიტის, ბრონქიტის, სტომატიტის სამკურნალოდ. „სალხინო" აწესრიგებს კუჭ-ნაწლავის მოქმედებას, გამოიყენება ქოლეცისტიტის, ჰეპატიტის, გასტრიტის შემთხვევებში. წამალი „სალხინო" კურნავს სარძევე ჯირკვლების დაავადებებს, მასტოპათიას, მასტიტს. თუ გამოიყენებთ მშობიარობის შემდეგ, აიცილებთ მასტიტს და გაიუმჯობესებთ ბავშვის კვებას საკუთარი რძით.

„სალხინო" თავის სამკურნალო თვისებებს ავლენს მისი პრაქტიკული გამოყენების შემთხვევაში. წამლით მკურნალობის შედეგით ყოველთვის კმაყოფილია როგორც ექიმი, ასევე პაციენტი. იგი რეგისტრირებულია. მიღებული აქვს სახელმწიფო პატენტი და ლიცენზია.

პრეპარატი გამოირჩევა თავისი სამკურნალო თვისებებით, გამოყენებული და აპრობირებულია სხვადასხვა ქვეყნების ჯანდაცვის სამინისტროსთან არსებულ სპეციალიზირებულ სამედიცინო ინსტიტუტების კლინიკებში, ლაბორატორიებსა და კათედრებზე.

**– ცნობილია, რომ მსოფლიოში მასტიტის საწინააღმდეგო წამალი არ არსებობს. ამ მხრივ ფურორი მოახდინა „სალხინომ". ის ნამდვილად პრეტენზიული და გარანტირებული პრეპარატია. იმედია, საერთაშორისო კანონის წესებით იბრძოლებთ, საქართველოში გამოგონებულია მასტიტის წამლის აღიარებისათვის.**

– მსოფლიო წამლების ჩამონათვალში მასტიტის წამალი არ არსებობს. ჩვენ გვაქვს პრეტენზია, „სალხინო" წარვუდგინოთ მსოფლიო საზოგადოებას და დავუმტკიცოთ, რომ მასტიტის წამალი გამოგონებულია. დარწმუნებული ვართ, საერთაშორისო ბაზარი დაუყოვნებლივ მიიღებს. ეს დიდი გამარჯვება იქნება.

სპეციალისტებმა აღიარეს, რომ „სალხინომ" მეძუძურ ქალებს დიდი შვება მისცა, რადგანაც ის რეკომენდებულია ლაქტაციის პერიოდში სარძევე ჯირკვლების

# მსოფლიო ბაზარს იპყრობს

ფუნქციონალური დარღვევების მკურნალობა-პროფილაქტიკისათვის (საგრძნობლად აუმჯობესებს ბავშვის კვებას დედის რძით). სეროზული ინფილტრაციული მასტიტის დროს კი „სალხინოთი" მკურნალობისას შეიმჩნევა ჯირკვლოვან ქსოვილთა ანთების დაცხრომა და ინფილტრატის შეწოვა დაჩირქების გარეშე. ამდენად სასურველია, მშობიარემ წამალი მიიღოს როგორც მშობიარობამდე, ისე მშობიარობის შემდეგაც.

მიღების წესი: პირველი ორი დღე სუფრის კოვზით 5-6-ჯერ, შემდეგ 50-70 გრამი 4-ჯერ დღეში.

გართულებული მასტიტის შემთხვევაში 3 შუშა ფხვნილი უნდა გახსნან 1 ლიტრ მდუღარე წყალში, გააციონ და გაიკეთონ საფენი მთელ მკერდზე. გამოიცვალონ მთლიან გაშრობამდე. 3-დან 10-დღემდე მასტიტი რჩება.

**– როგორც ცნობილია, საუკუნეების მანძილზე, დასავლეთ საქართველოში ნაჭყებიების ოჯახის წამლები ქველმოქმედების სახით ვრცელდებოდა, დღეს თქვენი წყალობით სინათლეზე გამოვიდა და ფართო მოხმარებაშია, როგორც თანამედროვე პრეპარატი. რა ცვლილებები შეიტანეთ მის ტექნოლოგიაში?**

– ჩვენს გვარში სამკურნალო ნაყენების დამზადების საიდუმლო თაობიდან თაობას გადაეცემოდა. ბავშვობიდან მაინტერესებდა ბალახების სასწაულმოქმედი ძალა. ბაბუასგან ვისწავლე წამლის დამზადება და იმდენად გამიტაცა ამ დარგმა, რომ თითქმის ზეპირად ვიცი ზაზა ფანასკერტელის „კარაბადინი". დიდი შრომით მივაღწიე იმას, რომ წინაპრების ცოდნასა და გამოცდილებას დავუმატე ჩემს მიერ შემუშავებული და დახვეწილი სამკურნალო ნაყენების ტექნოლოგია, თანამედროვე სახე და ფორმა მივეცი. მივიღე უნიკალური წამალი, რომელსაც ჩვენი სოფლის სახელი „სალხინო" დავარქვი.

„სალხინომ" სათანადო კლინიკური შემოწმება გაიარა საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ: აზერბაიჯანში, მოსკოვში, სანკტ-პეტერბურგში, პირველ კლინიკურ საავადმყოფოში, ონკოლოგიის სამედიცინო ცენტრში, ჩარავას სახელობის მეანობა-გინეკოლოგიის ინსტიტუტში, თერაპიის, უროლოგიის, სტომატოლოგიის, ოპერატიული ქირურგიის კათედრების და ტოპოგრაფიული ანატომიის ჩირქოვან განყოფილებებში. ნიშანდობლივია, რომ „სალხინო" გამოიცადა შიდსით დაავადებულ 40 ავადმყოფზე, ყველა მათგანს გაუუმჯობესდა კუჭ-ნაწლავის ტრაქტის მოქმედება.

დღეს მე ვითვლები „სალხინოს" ავტორად. მართალია, ექიმის დიპლომი არა მაქვს, სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი დავამთავრე, მაგრამ პრაქტიკული გამოცდილებისა და სამედიცინო ლიტერატურის დამოუკიდებლად დაუფლების წყალობით, ჩემს თავს უდიპლომო ექიმად ვთვლი. საბჭოთა წყობილების დროს, მოსკოვში გავიარე ერთწლიანი სპეციალური კურსები, რომელიც სახალხო მედიცინის ფონდმა მოაწყო. იქ მომანიჭეს „სახალხო მკურნალის" წოდება.

კარგა ხანია, სამედიცინო ფირმა „ფანასკერტელში" პრეპარატი ჩემი ხელმძღვანელობით ხალხის სამსახურშია. გავხსენით ქარხანა, სადაც თანამედროვე სტანდარტებით იფუთება და ლამაზი კოლოფებით მზადდება „სალხინო".

**– ავადმყოფს, რომელსაც ნაღვლის ბუშტში კენჭები აქვს, შეიძლება „სალხინო" მივაღებინოთ?**

– სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ, რომ წამალს უკუჩვენება არა აქვს და მისგან ცუდად არავინ გამხდარა. საერთოდ, დაავადების მორჩენას 4-5 კოლოფი (კოლოფში 6 ცალი შუშაა 6 გრამი ბალახით) წამალი სჭირდება, ქრონიკული დაავადების დროს კი – რამდენსაც განკურნება მოითხოვს.

თუ ნაღვლის ბუშტში 7 მმ-მდე კენჭია, შეიძლება დალიოთ, თუ მეტია, თავი უნდა შეიკავოთ მისი მიღებისგან.

საერთოდ, როცა ავადმყოფს მცენარეული პრეპარატი რეაქციას აძლევს, ის არჩენს დაავადებას და ეს არ არის უკუჩვენება, ეს რეაქციაა.

**– ყველა ქვეყანაში ქველმოქმედება ღირსეული საქმეა, თქვენ ეხმარებით უფულო, გაჭირვებულ ავადმყოფებს?**

– რა თქმა უნდა, ვეხმარებით. ამის ჩამოთვლას არც დავიწყებ და მომავალშიც აქ შემოსულ გაჭირვებულს ყოველთვის დავეხმარებით.

ერთმა ჩამოსულმა ჩინელმა სტუმარმა ქართულ მიწაზე აბიბინებულ ბალახებსა და მინდვრის ყვავილებს რომ დახედა, შეიცხადა თურმე – ამ მიწას ფეხს როგორც ადგამთ, ამდენი საოცარი სამკურნალო ბალახი ერთად არ მინახავს!

**ესაუბრა ირმა ჩოფიკაშვილი**



ეროვნული ბიბლიოთეკა



მხატვარი ცინარა ტერელაძე

იმ დილით თოვდა. პოეტი ლექსს მიუძღვნიდა უთუოდ, ისე ლამაზად თოვდა. თბილად, ნაზად, თითქოს დედამიწას ეფერებაო.

ქალმა ნელა გაიარა სითეთრეში ჩაძირული ქუჩა და ძველ, ჩაჩუმებულ პარკს მიადგა. ისიც ზამთრის მოთენთილობას მისცემოდა, თოვლის საფარველქვეშ მორჩილად გარინდებულიყო. მან რამდენიმე ნაბიჯი გადადგა გაუკვალავ თოვლში და მიმოიხედა. სპეტაკი, ქათქათა თოვლი კამკამებდა ირგვლივ და დაენანა უცებ მისი შებღალვა. მერე ისევ მისმა მშვენიერებამ მიიზიდა და გზა განაგრძო. უკან უსწორმასწორო ნაკვალევი რჩებოდა, მაგრამ უკან არ იხედებოდა. მხოლოდ თოვლს ხედავდა; წმინდა, ქათქათა, ხელშეუხებ თოვლს.

ქალს უყვარდა. უყვარდა საოცრად. სწორედ ისე, როგორც მარტო ქალს შეუძლია სიყვარული. და ეს იყო ჭეშმარიტი სასწაული, რადგან მაინც ვენერაა უპირველესი ღმერთი ამქვეყნად.

მაგრამ ყველაფერი აქ არ თავდება. სიყვარული გუშინაც იყო. თოვლიც. სწორედ ასეთივე სუფთა და კამკამა. მხოლოდ გუშინ ორმა შებღალა მისი სიწმინდე. თუმცა წუხელ ისევ მოთოვა და წაშალა კვალი...

– კიდევ გიყვარვარ? – კითხულობს ოცდაათიოდე წლის კაცი იმ ტონით, დარწმუნებული რომაა პასუხში.

ქალი (ორიოდე წლით ახალგაზრდა იქნება) უხმოდ უყურებს თვალებში. იქ ყველაზე უკეთ წერია პასუხი.

მერე ორივე დუმს. ეს სიყვარულით გაჯერებული დუმილია. სიყვარულით და სევდით, რადგან:

– შევხვდებით ხვალ? – ვაჟმა შუბლზე ჩამოყრილი თმა აუწია ქალს, რომ უკეთ დაენახა მისი თვალები.

– არა! – პასუხი ოდნავ, სულ ოდნავ ასცდა ბაგეებს და სითეთრეში გაიფანტა.

– რატომ, ახლა ვიღა გიშლის ხელს?

– შენ...

– მე?..

– ჰო, შენ, იმიტომ, რომ მეტისმეტად მიყვარხარ!

– მერე?

– მერე არ შემიძლია ასე...

– მაშ გამომყევი... სამუდამოდ!

ქალი დუმს. როგორ აუხსნას ის, რასაც იცის, რომ ვერ გაავებინებს, რაც თვითონ მისთვისაც არაა ბოლომდე ნათელი. მან თვალი გააყოლა ბელურას, რომელიც საქმიანად დახტოდა ტოტიდან ტოტზე, მერე დენის მავთულზე ახტა და გაოცებით დააცქერდა მომავლებს. ქალს გაეცინა კიდეც, ისეთი აშკარა დაკვირვებით მისჩერებოდა ფრინველი მათ. მის ადგილას რომ იყოს! მაშინ ბევრად იოლი, მარტივი იქნებოდა ყველაფერი, მაშინ აღარ გაუძნელდებოდა გადაწყვეტილების მიღება...

– არ შემიძლია!

– რატომ?

ქალი მუდარით უცქერს თვალებში. რა იქნება, რომ უსიტყვოდ მიუხვდეს? მაგრამ მისგან პასუხს ითხოვენ.

– იმიტომ, რომ მეტისმეტად მიყვარხარ!

– ეგ პასუხია?

კვლავ დუმილი. არა ამის ახსნა შეუძლებელია.

– მაშ რატომ მიატოვე ქმარი?

– როგორ შემეძლო მასთან ცხოვრება, მე ხომ შენ მიყვარხარ!

– მაგრამ შენ ჩემთან ყოფნაც არ გსურს... ვეღარაფერი გამიგია. აბა რა გინდა?

– მე შენ მიყვარხარ. იმდენად მიყვარხარ, არ შემიძლია ყოველდღიურობით გავაუბრალოვო იგი. შორს უნდა ვიყო შენგან, რომ გრძნობა კვლავ წმინდა დარჩეს.

– არ შემიძლია ამის გაგება, არ შემიძლია! – ვაჟი ლამის ატირდეს, – არსად, არასოდეს მსგავსი რამ არ მომისმენია. თუ ადამიანი გიყვარს, მისი სიახლოვეც უნდა გინდოდეს...

– ზოგჯერ ასეც ხდება...

– არა, არ ხდება! გონება ლექსებითა გაქვს გამოტენილი, მაგრამ გავიწყდება, რომ ცხოვრება პოეზია არ არის...

ვაჟი აშკარად ცხარდება, მაგრამ თავის შეკავებას ცდილობს. მაინც ვერ დაუჯერებია, რომ ამ სულელური, ფანტასტიკური მიზეზის გამო უნდა დაშორდეს საყვარელ ადამიანს. ეს ალბათ მაინც დროებითი ახი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ლიდა სტვილია



### მძიმეა ტვირთი გენერლისა

(გენერალ-მაიორ ტარიელ ღვაბერიძეს)

... ტარიელ, დიდო ქველმოქმედო,
ხუნწში გაზრდილო გენერალო...
მართლაც უნდა იყოს გენერალი,
დღეს რომ კაცს კაცი შეებრალოს...

შენგან წყალობა მიღებული
ქუქით-არმაზის მთებში ვგალობ...
მძიმეა ტვირთი გენერლისა, —
... სასიქადულო და სასახელო! —
ზოგი მსოფლიოს იწონის და...
ზოგი — ნახევარ საქართველოს!

იშოვი? აუვსებ სამშობლოს
გუდასაც, სუფრასაც ცარიელს, —
მიგაქვს ჭაპანი ჭაპანწყვეტით, —
მიარღვევ ლოდებით ბარიერს!!!

... ტარიელ! ქუჯივით კაცი ხარ,
მარტვილში ჟინო[1] ხმა გაისმა
ქუხ! — არ წაიქცე, საქართველო! —
შველს არა! ტყის მაფას დაისრავ!..

გენერალ-მაიორობა
არწივის ფრთებივით აგისხამს!..
ვამაყობ, ერს ბურჯად უდგახარ,
გმირულად გაიწევ, გარისკავ!..
... სამყაროც... შექმნიდან ქუხს,
მაგრამ
მრთელია, ცა კი არ დაიმსხვრა!
გენერალ-მაიორობა
არწივის ფრთებივით აგისხამს!..
უტარიელე, შურიგე,
რომ ხმა არ გაუწყდეს ჩანგის ხმას!..

..............................

[1] ჟინო — სეფე, რჩეული, მაღალი.

### ვაი, ნანა! წუთისოფელს მატანინებს ბეღურა

სულ საკენკის ძებნაშია, —
განა ცხოვრობს გედურად?
დღეში ასჯერ ჩამომიფრენს, —
მომიკითხავს ბეღურა!

ვწუხვარ, უცხო ზნე
გბურავს!
ვაი, ნანა! წუთისოფელს
მატანინებს ბეღურა!

დამჭიკჭიკებს ციდან, მთიდან,
ღობიდან და ტოტიდან...
ნათესავო, ოღონდ, მოდი!
ნურაფერს ნუ მომიტან!

ვაი, ნანა! მახრჩობს,
მახრჩობს
ამ ცხოვრების ზღვაური, —
მაგრამ... მაინც ვერ
წამართვა

მისვლა-მოსვლა ჭირს კი არა, სული ნათესავური!

### სტუმარო

... მოგელი და... მესმის
მუდამ
შენი ნაბიჯების ჩქამი!..
... მე, ჯორკოზე ჩამოვჯდები,
შენ... ინებე ჩემი სკამი!..

### ენძელები

მჯერა ჩემი დაიები
ტყეში, მთაში, ბარში, ბაღში

* * *

ქარსაც კი არ აკოცნინებთ,
ვერ შეგბედავთ მზერას
შაშვიც...
ამიტომაც, ენძელებო,
გაგიყარეთ მკლავი მკლავში,
ერთი მრუშიც რომ გერიოთ,
არ წაგიყვანთ არცერთს
სახლში.

### დედის მაგიერო დედა-ნანი

*(კოლხური ტრადიციისამებრ დედის ორმოცზე ვინც გარდაცვლილის შვილს ყურებთან მოკლედ აჭრის თმებს და საღამომდე უბით ატარებს — ის ქალი ითვლება დედის მაგიერ მეორე დედად...)*

... ამჭერი თმები და... ჩაიდე
დედური სიყვარულით უბეში...
დედის მაგიერო, გაზრდილო
ფაილოძეების ბუდეში...

დედად მეგულები დღეიდან,
დედად მეგულები დღეიდან...
მჯერა დედასავით მომიმხრობ,
შემძახებ ყანიდან, ღელიდან...

ო... გული მშიშარა ბავშვივით
მართლაც შვილივით მიგჩვევია...
... თბილისში დავტოვე სევდა და...
აქ, შენთან ყოფნა მირჩევნია!

---

რებაა... მერე ისევ უყვავებს ქალს:

— ძალიან მიყვარხარ და მჭირდები... შენი სიახლოვე მჭირდება...

ქალი თითქოს ყურს არიდებს ამ სიტყვებს.

— შემცივდა, შინ მინდა წასვლა.

— მაგრამ შენ არ გიპასუხია...

— ახლა არა, წავიდეთ, ძალიან გთხოვ!..

ვაჟი აღარაფერს ამბობს. უხმოდ მიუყვებიან გადათეთრებულ, ჩაჩუმებულ პარკს და ფიქრობენ. თუმცა სხვადასხვაგვარად.

... დღესაც ისეთივე მშვიდია პარკი. ისეთივე მშვიდი და თეთრი. ბეღურებიც დახტიან გაყინულ ტოტებზე, თუმცა ნაკლებად ახარებთ მათი მშვენიერი საფარველი. ქალი ახლა მარტოა, მარტო ამ ვეებერთელა ბუნებასთან ერთად, რომელიც არაფერს ეკითხება. იქნებ ამიტომაც უკრთის სახეზე ნაღვლიანი, მაგრამ მშვიდი, საოცრად მშვიდი ღიმილი...

**ნინო გოგიჩაშვილი**

საქართველოს
პარლამენტის
ეროვნული

ეროვნული ბიბლიოთეკა



# „ფრთები, ფრთები მინდა“...



გახსოვს, პატარაობისას ზღაპარს მიამბობდნენ ხოლმე ერთ კეთილ ჯადოქარზე, რომელიც ყოველ დილა-საღამოს ლოგინს პენტავდა და ქვეყანას ფანტელებივით ეფინებოდა ულამაზესი და უნაზესი ბუმბული. თეთრ „ფანტელებს“ ზამთარი მოჰყავდა, ჭრელა-ჭრულას გაზაფხული და ასე, მთელი წლის განმავლობაში...

სწორედ ეს ზღაპარი გამახსენდა ზაფხულის ერთ დღეს, როცა მეგობრის რჩევით - საოცარ სამყაროს იხილავო, რუსთაველის გამზირზე მდებარე მთაწმინდის რ-ნის „მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს“ სათაო ოფისში (თავ-რე პაატა მონიავა) მოწყობილ ლია (ელენე) ბარნაბიშვილის ფრინველთა ბუმბულით შესრულებულ ნამუშევართა გამოფენას ვეწვიე.

„წარმოუდგენელი“, „არაჩვეულებრივი“, „ახალი სიტყვა ხელოვნებაში“ – ისმოდა ყოველი კუთხიდან დამთვალიერებელთა აღფრთოვანებული ჩურჩული. „ფერის გამახვილებული გრძნობის, გამომგონებლობის, ოსტატობის, გატაცების სრული კონცენტრაცია... ფერთა ელვარება, ლივლივი, ფაქტურა, სითბო, სადაც ნათების ძალა და სხივის დაცემის კუთხე შემოქმედის თანაავტორია“... „ფერთა დინამიკური და უსასრულო ცვალებადობა, რაც გამოსახულებას აცოცხლებს, არაჩვეულებრივი ფონი, წყობა და გემოვნება, სირთულე, ჰაეროვნება“... – ასეთია პროფესიონალების აზრი.

ლია ბარნაბიშვილი პროფესიონალი მხატვარი გახლავთ. დაამთავრა თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია, მისი შემოქმედების სფერო მოიცავს ფერწერის, კერამიკის, მხატვრული ქსოვილის ხელოვნებას, რომლებსაც ბოლო წლებში დაემატა მის მიერვე შექმნილი ორიგინალური სახეობა – „ბუმბულით წერა“, რისთვისაც ბუნებრივ მასალას – ფრინველთა ბუმბულს იყენებს. მისი ნამუშევრები დაცულია კულტურის სამინისტროს საქართველოს სამხატვრო ფონდის, ეროვნული გალერეის, საქართველოს ხელოვნების მუზეუმის ფონდებში, მოწყობილი აქვს რამდენიმე პერსონალური გამოფენა, მონაწილეობდა რესპუბლიკურ და საერთაშორისო გამოფენებში, არის მხატვართა კავშირის წევრი.

მიუხედავად იმისა, რომ პროფესიით კერემიკოსს პედაგოგები თავის დროზე ამ დარგში დიდ მომავალს უწინასწარმეტყველებდნენ (მისი სადიპლომო ნამუშევარი – დესერტის სერვიზი იმდენად შთამბეჭდავი გამოდგა, რომ საბჭოთა კავშირის მაშინდელ გენერალურ მდივანს ნ.ს. ხრუშჩოვს დაბადების დღეზე მიართვეს), აკადემიის დამთავრების შემდეგ მუშაობა სართავ-სატრიკოტაჟო კომბინატში მთავარ მხატვრად დაიწყო და იმ ხანებში მთელი ქალაქი მისი გემოვნებით მორჩითული ტანსაცმლით რომ დადიოდა, დღესაც ძალიან ეამაყება. მოგვიანებით სილიკატურ კომბინატში გადაინაცვლა, ბავშვთა I სამხატვრო სკოლაში პედაგოგადაც მუშაობდა და მომავალ თაობას ფერწერის საიდუმლოებას აცნობდა. თავად ყველაზე მეტად აკვარელით ხატვა უყვარდა (თუმცა მიაჩნდა, რომ ზეთით მუშაობისას მსუყე, სასიამოვნო ფერები ჰქონდა), თავის მოწაფეებთან ერთად საათობით იჯდა და გატაცებით ხატავდა.

ბუმბულით მუშაობა, როგორც ხშირად ხდება ხოლმე, შემთხვევით დაიწყო. ერთ დღეს ვაჟმა ნანადირევი იხვი მოუტანა და მისი დამუშავებისას ისე მოიხიბლა მოელვარე-მოლივლივე ბუმბულით, რომ რამდენიმე ცალი ისე, ყოველი შემთხვევისათვის შეინახა. მერე კი, ერთ უძილო ღამეს, როცა ძმათამკვლელი ომის პერიოდში დაგროვილმა ტკივილმა და სევდამ, დანგრეულ „მხატვრის სახლზე“ დარდმა, პირადმა გასაჭირმა ერთად მოიყარა თავი და ბალიშზე თავის დადების საშუალება არ მისცა, გადანახული ბუმბული გაახსენდა, კოლოფიდან ამოალაგა, ფუნჯი და წებო მოიმარჯვა და ხელთ მოხვედრილ პირველსავე მუყაოზე მუშაობას შეუდგა. ნამუშევარი, რომელიც ახლა პრიმიტიულიც კი ეჩვენება, სწორედ მისი განწყობის შესაფერისი – სევდიანი პეიზაჟი აღმოჩნდა. მაინც მოეწონა და მას შემდეგ მუშაობა არ შეუწყვეტია – პეიზაჟს სახლები, ნატურმორტები, ფრინველები, პორტრეტები, წმინდანთა გამოსახულებანი მოჰყვა. შესაძლოა, ზოგჯერ ერთმა ბუმბულმა მიაწოდოს იდეა და მასზე მთელი კომპოზიცია ააგოს. ეს ბუნებრივი მასალა იმდენად საინტერესო და არაჩვეულებრივია, რომ სხვას აღარაფერს აქვს მნიშვნელობა. მთავარი საქმის სიყვარული და ნებისყოფაა. მასალას ოჯახის წევრები (ვაჟები, შვილიშვილები), ახლობლები და მეგობრები აწვდიან, ზოოპარკშიც კი უგროვებენ ეგზოტიკური ფრინველების ბუმბულს. ყველაზე მეტად მაინც ხოხობი მოსწონს – მის ბუმბულში გუმბათებს ხედავს. დღეისათვის 100-მდე ნამუშევარი აქვს შესრულებული, რომელთა უმრავლესობაც სივიწროვის გამო ყუთებში უწყვია. თითოეულ მათგანზე დაახლოებით 5-6 დღეს მუშაობს, უზარმაზარი შრომა აქვს მათში ჩაქსოვილი (ბუმბულის შერჩევა-დახარისხება ძალიან შრომატევადი პროცესია) და გასასხვისებლად იოლად არ ემეტება. განსაკუთრებულად „თამარ მეფის პორტრეტი“ უყვარს, რომელზეც მთელი თვის განმავლობაში მუშაობდა და უწმიდესსა და უნეტარესს, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ს მიართვა. „როცა უწმიდესი ჩემი ნამუშევრით მოიხიბლა, უბედნიერეს ქალად ჩავთვალე თავი, მივხვდი, რომ ამ ქვეყნად ტყუილად არ მიცხოვრია,“ – ამბობს ქ-ნი ლია.

მუშაობის განწყობა და სურვილი ყოველთვის აქვს, სიამოვნებას ანიჭებს ეს პროცესი, დაღლას, შიმშილს ვერ გრძნობს და, რაც მთავარია, უდიდეს სულიერ სატკივარს უყუჩებს. წინასწარ ყოველთვის არ იცის, რა გამოუვა, თვითონ ბუმბული კარნახობს მიმართულებას, ფორმებს. პეიზაჟები ამშვიდებს (ალბათ, ამიტომაც იგრძნობა მათი სიჭარბე), დასრულებული ნამუშევარი საოცარ კმაყოფილებას ჰგვრის. უძირო ტკივილით ატანილს (მეუღლე – მოქანდაკე ჯამლეთ (გელა) გელაშვილი და ერთი ვაჟი უდროოდ გამოეცალნენ ხელიდან) ზოგჯერ გაღვიძებაც არ უნდა, მაგრამ შვიდი შვილიშვილის ბებიას მოდუნების უფლება არა აქვს. ისევ თვითონ ყოჩაღობს, საკუთარ ტკივილს, დარდს თავს არავის ახვევს და ისეთ ენერგიასასხივებს, გაოცდებით. „ზოგჯერ მრცხვენია კიდეც, თავს რომ ვიმხიარულებ, ვმსახიობობ, ვთამაშობ. ისე ვიქცევი, თითქოს ცხოვრებაში ქვაზეც არ წამომიკრავს ფეხი, მაგრამ რა ვქნა, ისედაც გაჭი-



● ყვავილები ლარნაკში

რვებულ ადამიანებს საკუთარ ტკივილსაც ხომ არ დავუმატებ. სამაგიეროდ, გრძელი უძილო ღამეები ჩემია,“ – სევდანარევი ღიმილით ამბობს ქ-ნი ლია.

ტკივილს ისევ სამუშაო უოკებს. ადამიანების სიყვარულით გულანთებული დადის და ცდილობს, ეს სიყვარული თავისი არაჩვეულებრივი ნამუშევრების საშუალებით გადმოსცეს, რომელთა ხილვის ბედნიერებაც საზოგადოებას „მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს“ მთაწმინდის რ-ნის სათაო ოფისმა და მისმა წარმომადგენელმა, არაერთი სასიკეთო საქმის მოთავემ და ორგანიზატორმა, ქ-ნმა ია საყვარელიძემ მისცეს:

**– როგორ შეხვდით ქ-ნ ლიას?**

– ამ ორიოდე წლის წინ ოფისში (მაშინ იგი რუსთაველის თეატრის გვერდით მდებარეობდა) ქ-ნი ლიას ერთ-ერთი მეგობარი გვეწვია, გვითხრა, რომ არსებობდა საოცრად ნიჭიერი მხატვარი ლია ბარნაბიშვილი, რომელიც ბუმბულზე მუშაობდა და გვთხოვა, მისთვის გამოფენა მოგვეწყო. დავინტერესდით, გავეცანით მის ნამუშევრებს და პირველი გამოფენაც შედგა. მას შემდეგ აღარ მიგვიტოვებია. დიდად ვაფასებთ მის ნიჭს, გავითავისეთ მისი ტკივილი, ვითვალისწინებთ მატერიალურ მდგომარეობასაც. ქ-ნი ლიას ხელოვნებით აღფრთოვანებულმა ბ-ნმა გოგი თოფაძემ უმაღლეს დონეზე შესრულებული მისი ნამუშევრების კატალოგი გამოსცა, ახლა მერიის დახმარებით სამუშაო ფართის გამოძებნას ვცდილობთ (სივიწროვის გამო ქ-ნი ლია ერთ-ერთი სკოლის სარდაფში მუშაობს), რათა მუდმივი ექსპოზიცია მოვაწყოთ და ახალგაზრდა თაობას ამ საოცრების ხილვის საშუალება მივცეთ. არც სამომავლოდ გავწყვეტთ მასთან ურთიერთობას – შევეცდებით საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში გავიტანოთ ნამუშევრები, რომლითაც უკვე აშშ-შიც დაინტერესდნენ.

გთავაზობთ რამდენიმე ჩანაწერს შთაბეჭდილებათა წიგნიდან ამ ორიგინალური და განსაკუთრებული ხელოვნების შესახებ.

„ჩვენ ვნახეთ საოცრება. რა ნიჭიერები ვართ ქართველები. ყველას უნდა მივწვდეთ და გავაცნოთ ეს საოცარი ხელოვანი“ – გოგი თოფაძე.

„დღეს ძნელია ვინმეს გაოცება ორგინალობით და მაინც, ქ-ნი ლია იოლად ახერხებს ამას. უნებლიეთ წამომიტივტივდა სიტყვები: „ფრთები, ფრთები გინდა“... – პროფ. ნოდარ ტაბიძე.

„თქვენმა ზეციურმა მადლით მონიჭებულმა ხელოვნებამ მომნუსხა, გამაოგნა, აღმაფრთოვანა, სიცოცხლის ფასი მაგრძნობინა, სამყარო სხვა თვალით დამანახა; დიდ მადლობას გიხდით, რომ მაზიარეთ ამ საოცრებას. მე თქვენ ფრინველთა ქალღმერთს გიწოდებდით“ – კომპოზიტორი მარიკა კვალიაშვილი.

„მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში მრავალი საინტერესო გამოფენა მინახავს, მაგრამ ასეთი იშვიათი ტექნიკა არსად შემხვედრია. შეიძლება ვცდები, მაგრამ მგონია, რომ ქ-ნმა ლიამ ახალი ტექნიკა შემოიტანა მხატვრობაში. იგი საოცარი სიზუსტით ახერხებს არატრადიციული ტექნიკით ნამდვილი ფერწერის შექმნას. განსაკუთრებით შთამბეჭდავია მისი პეიზაჟები. მე მგონი ჩიტებიც, ვისი ბუმბულებიც ამ ნამუშევრებშია გამოყენებული, აღფრთოვანდებიან ასეთი სილამაზის ხილვისას. დიდი მადლობა, ქ-ნო ლია“ – ჟურნალისტი პაატა ნაცვლიშვილი.

უკეთესად ვერ იტყვი. ისღა დაგვრჩენია, შემდგომი წარმატებები ვუსურვოთ არაჩვეულებრივ ქალბატონსა და ნიჭიერ ხელოვანს.

**მანანა იმესაშვილი**

## სენსაცია: ჰოლივუდის ვარსკვლავი დააპატიმრეს



# უაინონა რაიდერი

2002 წლის დეკემბერში სასამართლომ დამნაშავედ სცნო ჰოლივუდის ვარსკვლავი უაინონა რაიდერი ქურდობისა და ვანდალიზმის გამო. მსოფლიო პრესას ვერ გაუგია, რატომ დაჭირდა ქალს, რომლის ქონება მილიონობით დოლარს ითვლის, მაღაზიიდან ქუდისა და წინდების მოპარვა. კლეპტომანიის სიმპტომები სახეზეა. ე.ი. მსახიობი ქურდი კი არა, მძიმე ავადმყოფია.

2001 წლის 14 დეკემბერს 30 წლის კინოვარსკვლავი უაინონა რაიდერი ლოს-ანჯელესის ერთ-ერთ ბუტიკში მოპარული ნივთებით დააკავეს.

მაღაზიის დაცვის წევრმა დაინახა, რომ კარგად ჩაცმული ახალგაზრდა, ნაზი ქალბატონი მანიკურის მაკრატლით ტანსაცმლიდან ფასების მოცილებას ცდილობდა. მსახიობი გასასვლელისაკენ გაემართა, სადაც ყველაფერი წამებში მოხდა: დამნაშავე დაიჭირეს და პოლიციის უახლოეს განყოფილებაში ხელბორკილებით წაიყვანეს. მოპარული ნივთების საერთო ღირებულება ხუთი ათას დოლარს აღწევდა.

ამ ამბავმა ამერიკელებს შორის დიდი აჟიოტაჟი გამოიწვია, რადგან სამართალდამცავების მიერ დაკავებული „კლეპტომანი“ – ჰოლივუდის ვარსკვლავი გახლდათ. ამ ისტორიამ ყველა გააოცა, განსაკუთრებით მაშინ, როცა ერთ-ერთი სასტუმროს დაცვამ, რომელსაც უაინონა ხშირად სტუმრობდა, განაცხადა, რომ მსგავსი ცელქობები ვასრკვლავს ხშირად ახასიათებდა.

### უაინონას ბავშვობა

„პატარა ველური გოგო“ ჰიპების ოჯახში „მდელოს ყვავილივით“ იზრდებოდა. ჯერ კიდევ იმ დროს, მას ბევრი პრობლემა ჰქონდა – სკოლას ვერ ეგუებოდა და კარჩაკეტილი იყო, რადგან სკოლის ამხანაგებში ბიჭურად გამოწყობილ უაინონას არაფრად აგდებდნენ. ამის გამო მშობლებმა ის სამსახიობო სასწავლებელში გადაიყვანეს, რის შემდეგაც, უკვე ცამეტი წლის ქალიშვილმა ჰოლივუდის ყურადღება მიიპყრო.

17 წლისამ თავისი პირველი სიყვარული – ჯონი დეპი გაიცნო. მშობლებმა არჩევანი ძალიან მოუწონეს. ჯონი როკ-მუსიკოსობაზე ოცნებობდა, გატაცებული იყო ბუდიზმით და ნარკოტიკებსაც ეტანებოდა, რაც უაინონას არ მოსწონდა. დეპი შეჰპირდა შეყვარებულს, რომ ნარკოტიკებს თავს დაანებებდა, მაგრამ მისი ყოველი ცდა დეპრესიით დამთავრა.

ჯონის მძიმე ხასიათმა უაინონა დაღალა. მისი მარტო დატოვება აღარ შეიძლებოდა, ამიტომ უარი თქვა მთავარ როლზე ფილმ „ნათლიას“ III ნაწილში, სადაც პარტნიორობა უნდა გაეწია ალ პაჩინოსათვის, რომელთანაც მეგობრობდა.

ამის შემდეგ მსახიობი საკუთარი სურვილით ფსიქიატრიულ კლინიკაშიც აღმოჩნდა. ამის მიზეზი ხანგრძლივი გადაღებები და პირადი პრობლემები იყო. ოთხწლიანი ურთიერთობის შემდეგ ის ჯონი დეპს დაშორდა, ხოლო ამ უკანსკნელმა ტოპ-მოდელ ქეით მოსთან გააბა რომანი, უაინონასათვის ეს ამბავი თავზარდამცემი აღმოჩნდა.

შემდეგ მსახიობი მეტ დეიმონს ხვდება. თავიდან ყველაფერი კარგად მიდიოდა, ნიშნობაც ჰქონდათ, მაგრამ სამი წლის შემდეგ, მეტის დედის დაჟინებული მოთხოვნით, ისინი ერთმანეთს დაშორდნენ. „მას თავში ყველაფერი რიგზე ვერა აქვს, დამიჯერე, პროფესიონალი ფსიქოლოგი ვარ და ვიცი, რასაც ვამბობ“...

მისის დეიმონი მართალი აღმოჩნდა. უაინონა რამდენიმე თვეში დააპატიმრეს. იგი საკუთარ თავსაც ვერ უხსნიდა, რატომ ჩაიდინა ასეთი რამ.

ფსიქიატრები თვლიან, კლეპტომანიის მიზეზი ხშირად მარტოობაა და ადამიანი ასეთი არასტანდარტული გზით ცდილობს ყურადღების მიქცევას.

სასამართლომ უაინონას სამი წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა, ამასთან ზარალის ანაზღაურებისთვის ჯარიმაც გადაიხადა, დამატებითი სასჯელის სახით 480 საათიანი საზოგადოებრივი საქმიანობა დაევალა ბავშვთა საავადმყოფოში. ფსიქიატრის კონსულტაციები კი ერთი წლის მანძილზე უნდა მიეღო.

ჰოსპიტალში მუშაობისას უაინონამ ბევრი თავისი პრობლემა დაივიწყა. იგი მარტო ცხოვრობდა და ახალი ურთიერთობების წამოწყებას არ ჩქარობდა, დროს ბავშვთა საავადმყოფოსა და გადაღებებზე ანაწილებდა.

ამ უსიამოვნო ისტორიამ ამერიკელთა დამოკიდებულება საყვარელი კინოვარსკვლავისადმი არ შეცვალა. ხალხი მის მიმართ თანაგრძნობითა და სიბრალულითაა გამსჭვალული, სჯერათ, რომ უაინონა თავის პრობლემებს გაუმკლავდება და ნორმალურ ცხოვრებას დაუბრუნდება.

ბოლო დროს ყვითელ პრესაში გამოჩნდა ცნობა, რომ მსახიობი ისევ შეყვარებულია. მისი რჩეული ცნობილი როკერი ჯეიპ ჰამილტონია. მისმა ერთ-ერთმა მეგობარმა ჟურნალისტებს განუცხადა: „როგორც იქნა, ის ისევ გახალისდა, ყველაფერი დაბრუნდება – სამუშაო, ცხოვრება, სიყვარული“.

**მოამზადა ეკა ჩიქოვანმა**

# უკვდავია მხოლოდ სახელი

ერთი წელი გავიდა, რაც დაგვემშვიდობა, მისი ფიქრით ორი კვირით. ზღვაზე წავალ, ამ ზაფხულს თბილისიდან არ გავსულვარ, ჰაერს ჩავისუნთქავო. მისი ფიქრით, ორი კვირით... ღვთის ნებით, სამუდამოდ.



ბოლო დღე იყო მისი რედაქციაში ყოფნის – რაღაცნაირად წასვლა ენანებოდა. მშვიდი იყო, თხოვნა ედგა თვალებში – გოგოებო, რომ ჩამოვალ, წერილები დამახვედრეთო.

პასუხისმგებლობის გრძნობა ჰქონდა. ნაღდ პროფესიონალს თავისი საქმე უყვარდა. ყველაზე ადრე მოდიოდა და ყველაზე გვიან ტოვებდა აქაურობას. რომ არ ეწერა, არ შეეძლო. თემა უამრავი იყო, არჩევდა აქტუალურს და გადაუდებელს. რუსულ პოეზიას თარგმნიდა. ლექსსაც ეჭიდებოდა. მაგრამ პირველ რიგში მაინც დიდი ჟურნალისტი იყო.

განსაკუთრებით უყვარდა ოჯახი, შვილები. მათი წარმატებებით ხარობდა.

ათი წელი ცოტა როდია. ერთ ჭერქვეშ გატარებული ათი დღეც კი ადამიანებისათვის რაღაცას ნიშნავს. ათი წელი ერთ ჭერქვეშ...

ბუნების კანონი ასეთია, ყველა მოკვდავს თავი უკვდავი ჰგონია. ჩვენც გვეგონა, ირგვლივ არაფერი შეიცვლებოდა. მაგრამ ამ ქვეყნიდან მისმა უდროო წასვლამ დაგვარწმუნა სიცოცხლის წარმავლობაში.

უკვდავია მხოლოდ სახელი, თუ სახელოვნად გიცხოვრია.

ესაა ნუგეში.

**თანამშრომლები**

## ერთი ლექსი

### წუთისოფელი

**ელისო ქიტიაშვილი**



შევხარი ზეცას, წამიღებს ნამი,
ვარდებს რომ აზის ცრემლის წვეთებად,
აწმყოს თუ მყობადს შევხედავ წამით
და წუთისოფლად მომეჩვენება.

წუთისოფელი – სხვა ცრუ სოფელი,
სიხარულსა და ბალღამს რომ გვასმევს,
მაინც რა არის წუთისოფელი?
ცარიელი და ყველაფრით სავსე...

წუთისოფელი დიდი გზა არის,
მქუხარე ტალღა, ზვირთთა დინება,
მაცდური ქარი წამლეკ ზვავებით,
მდინარესავით მოედინება.

წუთისოფელი – ჩვენი მშვენება,
სამყაროს მადლი, წუთისოფელი,
აშენება თუ გადაშენება,
მაინც რა არის წუთისოფელი?

არის ყვავილი წუთისოფელი,
ვარდი, ცრემლი რომ ასველებს ნამის,
სიმართლის გზაა წუთისოფელი,
და მტკიცე ბრძოლა წუთის და წამის.

წუთისოფელი დიდი სარკეა,
რაც უნდა ძალამ წლები ჩარაზოს,
სწორედ მასში ჩანს სულ ყველაფერი,
მაგრამ არარსი არ სჩანს არასდროს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ქალი მიმტევებელი ბუნებისაა



ლიკა ნადარაია



თამარ კიკნაძე

სამაყოა, რომ გვყავს ორი მშვენიერი, ინტელექტუალური ქალბატონი – ფსიქოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი ლიკა ნადარაია და პოლიტიკურ მეცნიერებათა დოქტორი, თბილისის პოლიტიკურ კვლევათა ცენტრის დირექტორის (დირექტორი ომარ გოგიაშვილი) მოადგილე თამარ კიკნაძე, რომლებიც „ქალთა პოლიტიკურ რესურსცენტრში“ მოღვაწეობენ. აქვთ ფართო, მიზანმიმართული გეგმა და სამოქმედო არეალი. ცენტრის პროგრამაა ქალთა უფლებების დაცვა ყველა სფეროში.

ცენტრი არასამთავრობო, არაკომერციული, საზოგადოებრივი ორგანიზაციაა და „ფემინისტური კლუბის“ სამართალმემკვიდრედ ითვლება. ჩამოყალიბდა ერთი წლის წინ, მიზნად საქართველოში ქალთა უფლებების დაცვა, ცხოვრების ყველა სფეროში თანასწორუფლებიანობის მიღწევა დაისახა. პრეზიდენტი ლიკა ნადარაია თვლის, რომ ქვეყანაში დემოკრატიის განვითარება საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ცხოვრებაში ქალთა ჩართვის გარეშე შეუძლებელია.

ფემინიზმის პოპულარიზაციის მიზნით კლუბში ფუნქციონირებდა პირველი ფემინისტური ბიბლიოთეკა, სისტემატიურად ქვეყნდებოდა პუბლიკაციები პრესაში, მზადდებოდა ტელეგადაცემები. ქალთა უფლებებზე იბეჭდებოდა ყოველთვიური ბიულეტენი. ცენტრს ფილიალები აქვს რუსთავში, ახალციხეში, გორში, ბათუმში, თელავსა და ქუთაისში. ცენტრმა დიდი მუშაობა გასწია წინა საპარლამენტო არჩევნებში, ჩამოაყალიბა ქალთა პოლიტიკური ქსელი, რომელიც ქალთა თხუთმეტი არასამთავრობო ორგანიზაციისგან შედგებოდა, ზეგავლენას ახდენდა პოლიტიკურ პარტიებზე, რათა გაზრდილიყო ამომრჩეველ ქალთა რიცხვი. საქართველოში ამომრჩეველთა 58 პროცენტი ქალია. 2000 წელს ცენტრის აქტიური მონაწილეობით დაფუძნდა საქართველოს ქალთა კოალიცია, რომელიც ორმოცდასამ არასამთავრობო ორგანიზაციას აერთიანებს. იმავე წელს გამოიცა წიგნი „ძალადობა ოჯახში“. თბილისსა და ქუთაისში გაიმართა ქალთა ფორუმები თემაზე – პოლიტიკურ პარტიებში მოღვაწე ქალების დაკავშირება ქალთა ელექტორატთან. პარლამენტს წარედგინა საკანონმდებლო პროექტი, რომელიც ითვალისწინებდა გენდერულ წონასწორობას პარტიულ სიებში, „იუნიფემისათვის“ კლუბმა მოამზადა ანგარიში – „ქალი კონფლიქტურ ზონებში“.

ცენტრში ოთხი არასამთავრობო ორგანიზაციაა გაერთიანებული: მრავალეროვან ლიდერ ქალთა კლუბი, ადგილობრივი თვითმმართველობისა და რეგიონალური განვითარების კვლევის ცენტრი – „თემი“, ქალთა დასაქმების ინოვაციური ცენტრი და მარტოხელა მშობელთა ასოციაცია. შარშან მან დიდი მუშაობა გასწია ადგილობრივ არჩევნებში კანდიდატ ქალთა მხარდასაჭერად. რესურსცენტრის მიზანია ქალთა ორგანიზაციების შექმნა პარტიებში, ქალ კანდიდატთა რაოდენობის გაზრდა საპარლამენტო არჩევნებში და ქალთა ორგანიზაციის შექმნა პარლამენტში.

დღევანდელმა ყოფამ სავალალო მდგომარეობაში ჩააგდო ქართველი ქალი. იგი მოუმზადებელი შეხვდა დამოუკიდებლობას, დაძაბუნდა ოჯახი, სტატისტიკის მიხედვით ოჯახში ქალის შემოსავლის 90 პროცენტი იხარჯება, მამაკაცისა – მხოლოდ 40. ძლიერი სახელმწიფოს საწინდარი ძლიერი ქალია. ცენტრის დევიზია – ძლიერი ქალი ძლიერი საქართველოსათვის. პარლამენტარი ადა მარშანია მოითხოვდა პარლამენტში ყოველი მეოთხე ქალი ყოფილიყო, რასაც შედეგი არ მოჰყოლია.

ქ-ნმა ლიკამ საგანგებო სემინარი მოაწყო ახალციხეში ქალთა უფლებების საკითხებზე. შეხვდა თურქეთში მიმავალ ტრეფიკინგის მსხვერპლ მეძავებს. იყო ცრემლი, ტკივილი, თავის მართლების უსასრულობა. ცენტრმა არსებობის მანძილზე ბევრის გაკეთება შეძლო: 1000-მდე უნარიანი, ენთუზიასტი ქალი ადგილობრივ თვითმმართველობაშია დასაქმებული. დიდ დახმარებას უწევს ცენტრს პატრიარქალური შვედეთი, ყოველმხრივ აღორძინებული, აყვავებული ეს პატარა ქვეყანა ნიმუშია იმისა, რომ მიზნის მისაღწევად აუცილებელია შრომა და ბრძოლა.

... სამწუხაროდ ჩვენთან, სიღარიბის დაძლევის პროგრამაში მხოლოდ ორი გვერდი აქვს დათმობილი ქალთა პრობლემებს, არაფერია ნათქვამი მარტოხელა დედებზე. ვინ იცის, რამდენი დედა განადგურდა მორალურადაც?!

ქ-ნი ლიკა იმყოფებოდა სიმპოზიუმზე ქალაქ დუბროვნიკში. მის მუშაობაში 120 ქალი მონაწილეობდა ურთიერთდაპირისპირებული ქვეყნებიდან. ერთი ინციდენტიც არ მომხდარა – ქალი ხომ შრომისმოყვარე, ნაკლებაგრესიული, ურთიერთთანამშრომლობაზე ორიენტირებული, მიმტევებელი ბუნებისაა. გამოიკვეთა ქალთა გააქტიურება ევროკავშირში შემავალ ჩრდილოეთის ქვეყნებში (ფინეთი, შვედეთი, ნორვეგია). აქტიურია აზიური ფემინიზმი. მართალია, ქალი რჩება თავის ტრადიციებზე ოჯახში, მაგრამ ამაღლდა მისი პოლიტიკური და ეკონომიკური აქტიურობა. დღეს ფილიპინებში, ინდოეთში, ბრაზილიაში, ვენესუელაში, სადაც მაღალი იყო დისკრიმინაცია, ქალს პარლამენტში 50-პროცენტიანი კვოტა აქვს.

ქალბატონი ლიკა ნადარაია აღნიშნავს, რომ სავალალოა დღეს ქართველი ქალის მდგომარეობა, რას არ კისრულობს იგი, რომ ოჯახი გადაარჩინოს. სახელმწიფოს გარეშე ამ საკითხს ვერავინ დაარეგულირებს, არასამთავრობო ორგანიზაციებს შეუძლიათ მოამზადონ საკითხები, შეიმუშაონ რეკომენდაციები, მაგრამ ქალის დასაქმების პრობლემებს ვერ შეეჭიდებიან. სამწუხაროა, რომ ქალები, რომლებმაც ახლახან ჩამოიხსნეს ჩადრი, უფრო დაფასებულნი არიან, ვიდრე ქართველი ქალები. ყველა პარტია როდი ითვალისწინებს ქალთა პრობლემებს. ამ მხრივ უკეთაა საქმე მრეწველებში, სოციალისტებში, მემარჯვენეებში, ძლიერია მათი ქვედა რგოლები, აქტიურია კავშირები ელექტორატთან. „ფემინისტურ მოძრაობაში ოცდასამწლიანი გამოცდილება იმედს მაძლევს, რომ ყველა თაობის, სოციალური ფენის, ყველა ეროვნების ქალის ერთად ყოფნა გადაარჩენს ქვეყანას“.

**ნანული ბუკია**

# და იყო იგი ჩვენი მიწა ქართული

ანუ

# რანი ვყოფილვართ



● ტბეთი

დგანან და ელიან ქართველის, „გურჯის“ გამოჩენას. ჯერ კიდევ ცოცხლობენ და მის მოსვლას ნატრობენ, რომ გადაარჩინონ, ძველებურად შეისხან ხორცი და გამობრწყინდნენ, რომ გააოცონ მისიანი თუ უცხოელი (თუმც უცხოელები დიდი ხანია ნახულობენ და გაოცებულნიც არიან) მსოფლიო შედევრებით, მოკვდავთათვის თითქმის შეუძლებელი ნამოღვაწარით. ტბეთი, პარხალი, ოშკი, ბანა... დღეს მათი გადარჩენა მხოლოდ ტურიზმის განვითარებას შეუძლია.

შუა საუკუნეების ქართული ხუროთმოძღვრების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ძეგლის ბანას ტაძრის მონახულებისას დიდი ექვთიმე თაყაიშვილი გულდაწყვეტილი აღნიშნავდა, საგალალო სურათი დამხვდაო. ტაძრის ყველა ნაწილი, აღმოსავლეთის გარდა, ჩამონგრეულიყო და ერთმანეთზე დახვავებული ქვების გროვად ეყარა.

ნგრევა გრძელდება. უმძიმეს მდგომარეობაშია ოპიზის წმიდა იოანე ნათლისმცემლის სამონასტრო კომპლექსი, რომელიც ჯერ კიდევ 1959 წლის მონაცემებით მთლიანად ნანგრევებადაა ქცეული. ინგრევა ოშკის და იშხნის დიდებული მონასტრები. უაღრესად საგალალო მდგომარეობაშია ტბეთის კათედრალური ტაძარი — ისტორიული შავშეთის საეპისკოპოსო ცენტრი, რომლის გუმბათიც 1961 წელს ჩამოიქცა.

დღევანდელი რეალობის გათვალისწინებით ტაო-კლარჯეთის ძეგლების გადარჩენა აუცილებელი და გადაუდებელია. ამ ურთულესი და მრავალმხრივი პრობლემის გადასაწყვეტად საქართველოს პრეზიდენტის ედუარდ შევარდნაძის თაოსნობით მეზობელ თურქეთთან და საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობის საფუძველზე დღითიდღე იკვეთება თურქეთის ჩრდილო-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში არსებული ისტორიული ტაო-კლარჯეთის და შავშეთის ხუროთმოძღვრული ძეგლების გადარჩენის სამოქმედო გეგმა.

ტაო-კლარჯეთის ძეგლების კულტურულ ტურიზმში ჩართვა ბუნებრივად გაზრდის მათი სრულყოფილი მეცნიერული შესწავლის მოთხოვნას, რაც განადგურების პირას მისულ ქართული ხუროთმოძღვრების ამ უნიკალურ ძეგლებს კონსერვაციისა და რესტავრაციის დღემდე წარმოუდგენელ პირობებს შეუქმნის.

რანი ვყოფილვართ! ამას მაშინ გავაცნობიერებთ, როცა ფეხს დავადგამთ ჩვენთვის დაკარგულ ტაო-კლარჯეთის და შავშეთის მიწას. დადიოდნენ ათასი დაბრკოლების გადალახვით ამ მხარეში ძველი ქართველები. სამჯერ (1902, 1907, 1917 წლებში) მოინახულა მთელი ეს წამრტაცი კუთხე დიდმა ექვთიმემ. სწორედ მისი აღწერილობითა და მეცნიერული შრომებით სწავლობდნენ ცოდნის მაძიებლები საქართველოს უმდიდრეს უძველეს ისტორიას, შუა საუკუნეების ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლებს.

დიდი ექვთიმე რომ არ ასულიყო ოდესლაც წართმეულ და ლოცვით მომლოდინე უძველეს ქართულ მიწაზე, უფრო სწორად, მთის კორტოხებზე, ცაში გამოკიდულ ხელთუქმნელი ტაძრების მოსანახულებლად, მოსალოცად, აღმწერად, გამზომად, წარწერების წამკითხველად, ფრესკების გადამღებად, ყველა ამ გასაოცარი მემკვიდრეობის მესაიდუმლედ, რას [illegible]კლიდნენ ან როგორ ისწავლიდნენ გმირ [illegible]ა-პაპათა სწორუპოვარი ნებითა და გარჯით ქვისმზიდავების, კედლების ამომყვანის, ფრესკების მომხატველის დანატოვარ მემკვიდრეობას.

დიდ ექვთიმეს რომ ფეხი არ ტკიებოდა და ტკივილს ნება მიეცა, ალბათ უფრო მეტჯერაც ავიდოდა მთებზე და არ შეაწუხებდა მის მომლოდინე, ღვთის ანაბარა მიტოვებულ, ძველ ქართულად მოსაუბრე გათურქებულ ქართველებს, რომლებსაც ფრესკებისა და წარწერების მაძიებელი ჩამოსული „გურჯი“ ხელში აყვანილი აჰყავდათ ცასა და მიწას შორის გამოკიდებულ სამლოცველოებში.

ხელით აჰყავდათ, რომ მას გადაეღო, წაეკითხა, გაეზომა შუა საუკუნის საოცრებანი და მერე ყველაფერი წიგნად დაეწერა და წაეკითხებინა იმ ქართველებისათვის, რომლებისთვისაც აქ ამოსვლა მიუწვდომელი იყო.

რამდენმა მეცნიერმა და არამეცნიერმა გაათენა ღამეები მის ნაშრომ-ნაღვაწზე, დაიჯერა და ვერც დაიჯერა წაკითხული: ეს რა უშენებიათ, ან როგორ უშენებიათ, როგორ უდიდებიათ ღვთის ნაბოძარი მიწა...

მიწა — წარმოუდგენელი სილამაზის, ტყეებით, ტბებით, წყაროებით, მიწა — წალკოტიანი, სულისმოსაბრუნებელი.

თუმცა მარტო ექვთიმე არ ყოფილა მათი შთამაგონებელი. ტაო-კლარჯეთს და შავშეთს სტუმრობდნენ ნიკო მარი და გენერალი ყაზბეგი. მათაც დაგვიტოვეს გამოკვლევები, თანაც დააიმედეს ქართველები, მოვა დრო და თქვენაც ნახავთო.

... აღსრულდა. ეს სულ ამ ბოლო წლებში მოხდა და ხდება. საზღვარი იკვეთება და შუა საუკუნეების ძეგლებთან მუხლს იყრიან წინაპართა მემკვიდრენი.

გაიხარეს ქართულმა ტაძრებმა. გაცოცხლდნენ, ლამის ენა ამოიდგეს და ქართულად ალაპარაკდნენ ზანა, ოშკი, ხახული, ოპიზა. ზოგნიც 1400, 1300 მეტრ სიმაღლეზე წამოჭიმულან ზღვის დონიდან. პირბადე ჩამოუხსნიათ, მთის მწვერვალებზე ყელყელაობენ, ხელს გვიქნევენ და გვეუბნებიან — მოდით, გვნახეთო.

მოვდივართ, — პირველი ექვთიმემ დაიძახა გასულ საუკუნეში, ცრემლიანი თვალებით ახედა მზის სხივებზე მოლაპლაპე დიდებული ტაძრის გუმბათს და დარჩენილი სავალი გზა რომ დაიმოკლა, ცრემლები ჩამოსდიოდა ნიკაპთან, ტაძრის კედლებზე ცის ნამი წვეთავდა...

ეს იყო პარხალი.

იგი წყაროებით მდიდარ ადგილას 970-იან წლებში აღაშენა დავით III კურაპალატმა. ეს უზარმაზარი ტაძარი — სამნავიანი ბაზილიკა დღემდე უამრავ წარწერას ინახავს. მისი კედლები ჩუქურთმებით და ჯვრებითაა დამშვენებული. პარხალი — დღევანდელი თურქული მეჩეთი... სწორედ ამ მეჩეთის წყალობითაა ასე კარგად შემონახული.

ისტორიულ ტაოში თავისი გრანდიოზუ-

ლობით ოთხთა ეკლესიაც გამოირჩევა. სახელწოდება იქიდან მოდის, რომ იგი მეოთხეა იშხნის, ოშკის და ხახულის შემდეგ. თუმცა ისიც მოიაზრება, რომ ოთხი მახარებლის სახელზეა აგებული. დგას შუაგულ ტყეში, შემაღლებულ ბორცვზე და ბრწყინავს.

...ექვთიმე გზას მაღლა და მაღლა მიუყვება. ირგვლივ შემოჯარული კლდეებია და უცებ იკვეთება მთა, განუმეორებელი სილამაზით, ხასხასა, თვალისმომჭრელი სიმწვანით და ამ წალკოტში ჩაფლული სოფლით. (როგორ აშენებდნენ ან როგორ ადიოდნენ, როგორ ცხოვრობდნენ ცის ძირას!) შუა სოფელში დგას უმშვენიერესი იშხანი – უცნაური, მოვარდისფრო ქვით ნაგები ტაძარი. მთელ ტაოში აქ ყველაზე კამკამა ჰაერი და ცივი წყაროებია. ექვთიმე იშხანს დაუტყვევებია, განსაკუთრებით მისი გუმბათის ყელს, ულამაზესი ჩუქურთმებით შემკულ სარკმელებს, და ამას ზედ დართვია გამაოგნებელი შეხვედრა ძველქართულად მოლაპარაკე გამაჰმადიანებულ ქართველებთან.

იშხნის სახურავი კედლებს კი არა, ოთხ უზარმაზარ სვეტს ეყრდნობა. გუმბათი ჩამონგრეულია და ზემოდან ტაძარში ცა იყურება. და მაინც... ექვთიმე გააოცა ტაძრის მოხატულობამ – ხარების, შობის, ფერისცვალების კომპოზიციებმა.

მოგზაური ხახულს მიეახლა, თან ახლდნენ ლადო გუდიაშვილი და მიხეილ ჭიაურელი. ზღვის დონიდან 1400 მეტრ სიმაღლეზე წამომდგარ ხახულის სამონასტრო კომპლექსს დავით კურაპალატის ღვაწლი არ დაუკარგავს. მის თანამედროვეთ მე-10 საუკუნეში გუმბათის ყელი საოცარი ორნამენტებით მოუქარგავთ.

იმავე დავითის კურთხეულია ოშკი, რომლის სამხრეთის გალერეის ერთ-ერთ სვეტზე მშენებლობის ხელმძღვანელის გრიგოლ ოშკელის ბარელიეფური გამოსახულებაა შემორჩენილი.

„რანი ვყოფილვართ!“ – ამ ფიქრით ექვთიმე სულმოუთქმელი აგრძელებდა გზას უზარმაზარი ოშკის მონასტრის მიმდებარე სატრაპეზოსკენ, სემინარიისათვის განკუთვნილ ნაგებობისკენ, იმ ორი დარბაზისაკენ, სადაც სავარაუდოდ წიგნსაცავი უნდა ყოფილიყო და ხელნაწერებსაც წერდნენ. (აქ გადაიწერა 978 წელს ოშკის ბიბლია).

„აუწერელია ოშკის სილამაზე, მიუხედავად იმისა, რომ გუმბათი ჩამონგრეულია“, – იტყვის შემდეგ ექვთიმე და დღიურში ჩაწერს: „სიდიდისა და ქანდაკოვანი სამკაულის მხრივ ეს ტაძარი ტაოში მეორეა ბანას მრგვალი ტაძრის შემდეგ.“

მართალია, ოშკი დღეს უქუდოდ (უსახურაოდ) დგას, მაგრამ უნებურად მუხლს იყრიან გაოგნებული მოგზაურები.

ოშკის გამაოგნებელი სილამაზე სულაც არ ნიშნავს, რომ მას მეტოქეობას ვერ გაუწევენ ხანძთა, შატბერდი, წყაროსთავი, მიძნაძორი, ბერთა, არტანუჯი. ყველანი ხომ ქართველის ხელითაა აგებული, ღვთისგან მომადლებული ნიჭით.

**ლია კაკაბაძე**

# მწვანე აფთიაქი

**2500 წლის წინათ არსებულ სლავურ ნაქალაქარ ბისკუპინის გათხრების შედეგად მეცნიერებმა 20 სახეობის სამკურნალო მცენარის ნაშთები აღმოაჩინეს. მათ შორის იყო კატაბალახა, კრაზანა, წალიკა, მატიტელა, ჭინჭარი, ფიჭვის კვირტები და მუხის ქერქი.**

**ადამიანი უხსოვარი დროიდან დიდ ყურადღებას აქცევდა სასარგებლო მცენარეების გამოძებნა-გამორჩევას და შემდეგ ზეპირი სახით გადასცემდა შთამომავლობას ცნობებს მათი სარგებლიანობის შესახებ. ამის შედეგად შეიქმნა პირველი სამედიცინო წიგნები და უამრავი დაავადების სამკურნალო წამალი.**

## ასკილი

ვარდისებრთა ოჯახის წარმომადგენელია, 1-3 მ. სიმაღლის ბუჩქია, ტოტები კაუჭა ეკლებითაა აღჭურვილი, ყლორტები მწვანეკანიანია. ყვავის მაის-ივნისში, ნაყოფი აგვისტო-სექტემბერში მწიფდება. გავრცელებულია მთელს საქართველოში.

ასკილის ნაყოფი შეიცავს 18 პროცენტამდე ასკორბინის მჟავას, C, B2, K ვიტამინებს. გარდა ამისა, ფლავონოლურ გლიკოზიდებს, 18 პროცენტამდე შაქარს, 3,7 პროცენტამდე პექტინს, ლიმონის, ვაშლის და სხვა მჟავეებს. ფესვები და ფოთლები მდიდარია მთრიმლავი ნივთიერებებით.

მსოფლიოში ყოველწლიურად ათასობით ტონა ასკილის ნაყოფი მზადდება, რომლისგანაც C ვიტამინისა და პროვიტამინის პრეპარატებს აწარმოებენ სხვადასხვა ფორმით (სიროფი, ფხვნილი, აბები, ექსტრაქტი, ნაყენი და სხვ.).

ასკილის წვენი გამოიყენება ავიტამინოზის, დიათეზის, ათეროსკლეროზის, ჭრილობების და ძვლების შეხორცების დაჩქარების სამკურნალოდ, ინფიცირებული ჭრილობებისა და საშვილოსნოდან სისხლდენის დროს.

ნაყოფში შემავალი A ვიტამინი გამოიყენება ჰიპოვიტამინოზის (ქათმის სიბრმავე), აგრეთვე თირკმელებისა და ნაღვლის ბუშტის კენჭოვანი დაავადებების შემთხვევაში. ასკილის ნაყოფის ექსტრაქტი გამოიყენება როგორც ნაღვლისდენის გამაძლიერებელი საშუალება ქოლეცისტიტისა და ჰეპატიტის დროს.

ასკილის ფოთლების ჩაი კარგად მოქმედებს კუჭზე. აუმჯობესებს მის მოტორულ ფუნქციას, აწყნარებს კუჭის ტკივილებს, „აუვნებლებს გაზებს“.

ასკილის ფესვების ნახარში მიჩნეულია როგორც საუკეთესო საშუალება ყოველგვარი ქვების დასაშლელად ქვიშის სახით და საოცარი წამალია მალარიის წინააღმდეგ. 2 სუფრის კოვზ წვრილად დაჭრილ ფესვებს ასხამენ 200 გრამ წყალს და 15 წუთს ადუღებენ. მიიღება 1 ჭიქა დღეში 3-ჯერ ერთი კვირის განმავლობაში.

ცნობილია ასკილის ნაყოფის რბილობისაგან მიღებული პრეპარატი კაროტოლინი – დერმატიტების, წყლულების, ეგზემის, ფსორიაზის და კანის სხვა დაავადებების სამკურნალოდ.

ტიბეტურ მედიცინაში ასკილს ტუბერკულოზის, ნევროზების, ათეროსკლეროზის სამკურნალოდ იყენებენ. მზადდება შემდეგნაირად: 1 სუფრის კოვზი ასკილის ნაყოფს დაასხით 1 ჩაის ჭიქა წყალი და ადუღეთ 10 წუთი. ერთი დღე-ღამე გააჩერეთ და მიიღეთ ნახევარი ჩაის ჭიქა დღეში 2-ჯერ, ბავშვებმა – 1/4 ჭიქა დღეში ერთხელ.

ბულგარელები ასე ამზადებენ: 10 გრ ასკილის ნაყოფს ასხამენ ერთ ჩაის ჭიქა მდუღარე წყალს, აჩერებენ და შემდეგ ფილტრავენ. მას ერთი დღის განმავლობაში სვამენ.

## ბაღის პიტნა

ბაღის პიტნა, ტუჩოსანთა ოჯახის წარმომადგენელია, ძირიდანვე დატოტილღეროიანი და ფესურიანი მცენარეა. ყვავის ივნისის ბოლოდან სექტემბრამდე. გავრცელებულია მთელს საქართველოში.

მთელი მცენარე ეთერზეთებს შეიცავს. ფოთლებში იგი 3 პროცენტამდეა, ყვავილებში – 6 პროცენტამდე. ეთერზეთი გამოიყენება კვების მრეწველობაში, ლიქიორისა და საკონდიტრო ნაწარმის არომატიზებისათვის.

მედიცინაში პიტნისგან მიღებული მენთოლი გამოიყენება გარეგანი ხმარებით ნევრალგიურ ტკივილდამაყუჩებლად, აგრეთვე, შაკიკის, კბილის ტკივილის დროს. იგი ანტისეპტიკური საშუალებაა სურდოს, ყელის კატარის, ბრონქიტის და ბრონქოესტაზის შემთხვევებში.

მენთოლის მიღება კარგია სტენოკარდიისა და კუჭის ტკივილის დროს. მას ადგილობრივი ტკივილგამაყუჩებელი, სპაზმოლიტური და ანტისეპტიკური თვისებები გააჩნია. იწვევს ძარღვების რეფლექტორულ გაგანიერებას.

პიტნის ფოთლების ნაყენი გამოიყენება როგორც გულისრევის და პირღებინების საწინააღმდეგოდ, ასევე საჭმლის მონელების გასაუმჯობესებლად.

ბაღის პიტნის გარდა სამკურნალოდ იხმარება ველურად მოზარდი პიტნის სახეობებიც.

პიტნა ფილტვების დაავადებების, განსაკუთრებით ფილტვებიდან სისხლდებინების სამკურნალოდაც გამოიყენება.

პიტნის ფოთოლს უხვსისხლიანი მენსტრუაციის მოსაწესრიგებლად შემდეგნაირად ამზადებენ: 20 გრ ფოთოლს 500 გრ მდუღარე წყალს ასხამენ, 2 საათს აჩერებენ და შემდეგ აძლევენ ავადმყოფს.

მენთოლი სისხლძარღვების შევიწროებას ახდენს სურდოს დროს. ამ მიზნით იგი შედის პრეპარატ ბორმენთოლის, პექტუსინის და სხვათა შემადგენლობაში.

პიტნის ზეთი ფართოდ გამოიყენება კბილის პასტებისა და ფხვნილების დასამზადებლად.

**მასალა მომზადებულია შ. ხიდაშელისა და ვ. პაპუნიძის ნაშრომის მიხედვით**

# ახალგაზრდა დიასახლისების დასახმარებლად

ჟურნალის მე-5-6 ნომერში შემოგთავაზეთ, რომ შინ შეძლებისდაგვარად გქონოდათ მომარაგებული ცოტ-ცოტა აუცილებელი პროდუქტი: ბრინჯი, მაკარონი, წიწიბურა, ორცხობილას ფხვნილი, პურის ფქვილი (საფანელისათვის), ზეთი, ხახვი, ნიორი, ხმელი სუნელი, ტომატი-პასტა, ძროხის ან ქათმის ბულიონის „კუბიკები“ ან ბულიონის ფხვნილი. ეს ყველაფერი ძალიან გამოგადგებათ მაშინ, როდესაც გინდათ სახელდახელოდ მოამზადოთ რაიმე კერძი, თქვენი ფანტაზიისა და გემოვნების მიხედვით. ალბათ დაიჭერდით თადარიგს, მაგრამ მაინც შეგახსენებთ.

თუ თქვენი სადილი შემწვარი კარტოფილი და სალათია, მაშინ შეალამაზეთ სუფრა ოდნავ სახეცვლილი სალათით.

## პამიდორი ნიგვზით და ოხრახუშით

**მასალა:** 4 ცალი მკვრივი პამიდორი, 1 თავი ხახვი, 100 გრამი ოხრახუში, 1 თავი ნიორი, მარილი, ზეთი, შავი ან წითელი პილპილი.

პამიდვრები გაჭერით შუა-შუა, დააწყვეთ გაშლილ თეფშზე ან ლანგარზე, ყოველ ნახევარს დაასხით თითო ჩაის კოვზი ზეთი, მოაყარეთ ჯერ პილპილი, შემდეგ მარილი, დაფარეთ 1 ჩაის კოვზი ორცხობილას ფხვნილით, შემდეგ ძალიან წვრილად დაჭრილი ნივრის და ოხრახუშის ნარევით, ზემოდან ალყა-ალყა დაჭრილი ხახვის ორი რგოლი დაადეთ.

პამიდვრის ასეთი სალათი ძალიან უხდება შემწვარ პურსაც.

პურის ნაჭერი შეწვით ცხიმში (არ დაგეწვათ), რომ გადააბრუნებთ, ზემოდან დაადეთ თითო ნაჭერი ყველი, დაახურეთ ტაფას ხუფი. ერთი წუთის შემდეგ გადმოაწყვეთ თეფშზე და მაშინვე მიიტანეთ სუფრაზე.

პატარა დიასახლისებო, აუცილებელი არ არის კერძები მხოლოდ „რეცეპტებით“ მოამზადოთ. თავადაც უნდა გააუმჯობესოთ თქვენი გემოვნების მიხედვით ესა თუ ის კერძი. თუ ვერ იტანთ რომელიმე მწვანილს ან სუნელს, შეგიძლიათ შეცვალოთ თქვენთვის სასურველი საკმაზით და თანდათან გამოიმუშაოთ კერძების მომზადების საკუთარი „ხელწერა“.

* * *

ხორციანი ბრინჯის ნაირსახეობა არსებობს: მოხარშული ბრინჯი გატარებული ხორცის ფარშით, ბრინჯი წვრილად დაჭრილი, მოშუშული ხორცით და სტაფილოთი, ქათმის ხორცით, ხახვთან ერთად მოშუშული სოკოთი, ლორით, შილაფლავი და მაინც, საერთი სახელია – ბრინჯი ხორცით, მაგრამ გსმენიათ ხორციანი ბრინჯი „მიმოზა“? ბრინჯის ეს სახეობა აჭარელ ქალბატონს მოუფიქრებია, რომელიც ძალიან ამშვენებს სუფრას და გემრიელიც არის.

## მიმოზა

**მასალა:** 1 კილო მოხარშული ძროხის ხორცი, მანქანაში გატარებული და ცხიმში კარგად მოშუშული. 2 ჩაის ჭიქა მოხარშული ბრინჯი (და არა გადახარშული), ცივ წყალგადავლებული, 3-4 თავი ალყა-ალყა დაჭრილი, ზეთში მოშუშული ხახვი (ხახვი არ დაყვითლდეს, უნდა შეუნარჩუნოთ თეთრი ფერი), 3-4 ცალი მაგრად მოხარშული კვერცხის გული, მაიონეზი, ცერეცო ან კამა, შავი პილპილი, მარილი.

დიდ, გაშლილ თეფშზე (ორ თეფშზე ან ლანგარზე) ზემოთ ჩამოთვლილ პროდუქტებს ათავსებთ ფენა-ფენად შემდეგი თანმიმდევრობით: ჯერ ბრინჯი, შემდეგ ხახვი, ხორცი (შეზავებული პილპილით, მარილით და ცერეცოთი ან კამით), შემდეგ თანაბრად ფარავთ მაიონეზით და იწყებთ თავიდან მეორე ფენას. მეორე ფენის შემდეგ მაიონეზს დაფარავთ დაფშვნილი კვერცხის გულით, აქა-იქ გადაადებთ სამ ღერ ოხრახუშს.

თუ ორ თეფშზე მოამზადებთ „მიმოზას“, მაშინ ყველაფერი თავიდანვე ორ ტოლ ნაწილად გაყავით.

## მწვანე პამიდვრის მწნილი

როგორც წესი, მწვანე პამიდორს შუაზე ჩაჭრიან, გულში უდებენ დაჭრილ ნიახურს, ნიორს, დაჭრილი წიწაკის პატარა ნაწილს, აწყობენ შესაფერის ჭურჭელში, ასხამენ მარილწყალს და ასე ამჟავებენ.

გთავაზობთ მთელ-მთელი პამიდვრის დამჟავების წესს. მწვანე მკვრივი პამიდორი წვეტიანი დანით ერთი სანტიმეტრის სიგრძეზე ჩაჭერით ოთხ ადგილზე, ყოველ ჩაჭრილ ნაწილში მოათავსეთ დაჭრილი ნიორი (დააჭირეთ ცერა თითი და ღრმად ჩატენეთ). ნიახურით ძირმოფენილ ქილაში მჭიდროდ ჩაალაგეთ პამიდორი და ალაგ-ალაგ კვლავ ჩააყოლეთ ნიახური და წითელი წიწაკა. დაასხით მარილწყალი (მარილწყალი უნდა იყოს ოდნავ მლაშე), გადააფარეთ დოლბანდი და დატოვეთ დამჟავებამდე.



რედაქციის მისამართი:
280096, ქ. თბილისი,
მ. კოსტავას ქ. №14.
V სართული
რედაქტორის
ტელეფონი:
99-98-71

ოთხ გვერდზე მეტ ნაბეჭდ მასალას ნუ შემოგვთავაზებთ

ეროვნული ბიბლიოთეკა



მილიონობით ადამიანისათვის მისი სახელი იდუმალებით მოცული ულამაზესი ქალების იმ ტიპთან ასოცირდება, ვისაც დღეს ვეღარ შეხვდებით ცხოვრებასა და კინოში. ისინი ბრწყინვალებისა და წარმატებებისაგან გადაღლილმა სტანდარტული გარეგნობის მქონე ვულგარულმა ასულებმა შეცვალეს, არამიწიერი სილამაზის მქონე იტალიელი კინოვარსკვლავი ჯინა ლოლობრიჯიდა კი, რომელმაც თავის დროზე უამრავი მამაკაცის გული მოინადირა და ბევრსაც აღერევინა უიმედო სიყვარულის ცრემლი, დღესაც ძველებურად იდუმალი და მშვენიერია და კვლავ ახალგაზრდული ენერგიით ემსახურება საყვარელ საქმეს.

# ჯინა ლოლობრიჯიდას შეცდომა



ლუიჯინა ლოლობრიჯიდა 1927 წლის 4 აგვისტოს, რომის მახლობლად, პატარა მთიან სოფელ სუბიანოში ხუროს ოჯახში დაიბადა. სიღარიბეში, მკაცრი კათოლიკური წესების მიხედვით აღზრდილმა გოგონამ თავიდანვე გააცნობიერა, რომ სწავლა-განათლება ერთადერთი საშუალება იყო სიღატაკიდან თავის დასაღწევად, მაგრამ რა იცოდა, თუ პატარაობიდანვე პლანეტის ულამაზესი ქალის ტიტულისათვის იყო „განწირული“.

სამი წლის იყო ჯინა, როცა ნათესავებმა რომში დიდ დღესასწაულზე წაიყვანეს, სადაც პატარების სილამაზის კონკურსი ტარდებოდა. ჰოდა, ხუროს ასულმა ცხოვრებაში თავისი პირველი „იტალიის ყველაზე ლამაზი ბავშვის“ ტიტული მოიპოვა. გავიდა რამდენიმე წელი და ლოლობრიჯიდა რომში ახლა დამოუკიდებლად გაემგზავრა, მაგრამ საკუთარი თვალისმომჭრელი გარეგნობით მამაკაცების მოსახიბლად კი არა, ნატიფ ხელოვნებათა აკადემიაში ქანდაკებისა და ფერწერის შესასწავლად. როგორც ამბობენ, გოგონა მონდომებით სწავლობდა და ქანდაკების გარდა სიმღერასაც ეხერხებოდა.

რასაკვირველია, აკადემიაში ასეთი მზეთუნახავის არშემჩნევა შეუძლებელი იყო, ამიტომ ჯინას ფოტომოდელობა შესთავაზეს. როცა შეიტყო, რომ კვირაში იმდენსავეს გადაუხდიდნენ, რამდენსაც მამამისი 3-4 თვის მანძილზე გამოიმუშავებდა, გოგონა დამძიმებული გულით დათანხმდა პოზირებაზე. მაგრამ, ყოველი შემთხვევისათვის, ფსევდონიმი დიანა ლორისი აიღო, რათა ოჯახი და გვარი არ შეერცხვინა. იგი ქალის ტანსაცმელს უწევდა რეკლამას, კარგი შემოსავალი კი აკადემიის პედაგოგებთან დამატებითი მეცადინეობისა და სიმღერის შესწავლის საშუალებას აძლევდა.

იქ, სადაც მოდელები და პოდიუმია, აუცილებლად ტარდება სილამაზის კონკურსებიც. მაგრამ ერთი საქმეა მოდურ ტანსაცმელში ფოტოგრაფის წინაშე პოზირება და სულ სხვა – მთელი ქვეყნის წინაშე საბანაო კოსტიუმში გამოჩენა, მით უფრო თუ იმის საშიშროებაც არის, რომ ჰორიზონტზე რომელიმე ნათესავი გამოჩნდება სუბიანოდან და კონკურსს კორიდად აქცევს.

და მაინც, 1947 წელს ჯინამ „მის იტალიის“ სილამაზის კონკურსში მიიღო მონაწილეობა და მესამე ადგილი მოიპოვა, რამაც კინემატოგრაფის უმაღლეს ორბიტაზე გასვლის საშუალება მისცა – იმავე წელს იგი ზედიზედ ოთხ ფილმში გადაიღეს და პირველსავე სადებიუტო სურათში კრიტიკამ და მაყურებელმა ღვთაებრივი გარეგნობის მიღმა ნამდვილი მსახიობური ნიჭიც დაინახეს. მსახიობური კარიერის პირველი სამი წლის მანძილზე ლოლობრიჯიდამ (მან უარი თქვა ფსევდონიმსა და მოდელის სტატუსზე) 15 სურათში ითამაშა. მის ფილმებზე ხალხი ოჯახებით დადიოდა.

მაშინ, ნახევრადმშიერ ომისშემდგომ წლებში თუნდაც ეკრანზე ლამაზი ზღაპრის ხილვა უბრალო იტალიელებისათვის ერთადერთი სიხარული იყო. ახალგაზრდა ქალები ცდილობდნენ მაქსიმალურად დამსგავსებოდნენ ჯინას, თმას მუქად იღებავდნენ და მისნაირ კაბებს იცვამდნენ.

ერთი სიტყვით, იტალიაში ნამდვილი საყოველთაო „ლოლობრიჯიდომანია“ დაიწყო, რომელსაც კიდევ ერთხელ 60-იან წლებში ჰქონდა ადგილი, როცა მსოფლიომ „ბითლზის“-ის შესახებ შეიტყო.

ცნობამ არამიწიერი სილამაზის მქონე იტალიელი ასულის შესახებ ჰოლივუდამდე მიაღწია და იმავე 1947 წელს ამერიკელმა ფინანსურმა მაგნატმა ჰოვარდ ჰიუზმა ჯინა ოკეანის გაღმა მიიწვია.

„სპაგეტის შემდეგ იტალიას მასზე გასაოცარი და გამაოგნებელი არაფერი შემოუთავაზებია. ჯინა ჩვენი პლანეტის სრულყოფილი ქმნილებაა! ჩვენი გულები თქვენ გეკუთვნით, ჯინა!“ – ასე წერდა ამერიკული პრესა ლოლობრიჯიდას შესახებ. მისი ფოტოსურათები მოდური ჟურნალების გარეკანზე იბეჭდებოდა, ხოლო მის ფილმებზე კინოთეატრების სალაროებთან უზარმაზარი რიგები იდგა.

ჰოვარდ ჰიუზმა ლოლობრიჯიდას შვიდწლიანი კონტრაქტი შესთავაზა, მაგრამ ქალმა სასტიკი უარი განაცხადა, რადგან იმ ხანებში შეერთებულ შტატებში კონკურენტები არ ეგულებოდა (მერილინ მონროს მაშინ ჯერ კიდევ სამოყვარულო პორნოფილმებში იღებდნენ). ასე რომ, ძალიან მალე ჯინას ტრიუმფითა და სიხარულის ცრემლებით კვლავ მშობლიურ იტალიაში ეგებებოდნენ. ასეთი საქციელისთვის სამშობლოში მეტსახელად ჯინა ნაციონალეც კი შეარქვეს, მაგრამ ერთი წლის შემდეგ დაბრუნების ნამდვილი მიზეზიც გაირკვა – 1949 წელს ლოლობრიჯიდა ცოლად იუგოსლაველ ექიმს მილკო სკოფიჩს გაჰყვა და იუგოსლაველები მთელი 22 წლის მანძილზე ამაყობდნენ იმ ფაქტით, რომ პლანეტის ულამაზესი ქალი მათი თანამემამულის კუთვნილება იყო.

1950-60 წლებში ჯინა ლოლობრიჯიდა 26 ფილმში გადაიღეს, 1961 წელს კი „ოქროს გლობუსი“ დაიმსახურა სურათისათვის „სექტემბერო, მოდი“. 60-იან წლებში იგი ძალზე უხალისოდ მონაწილეობდა გადაღებებში, მოსაწყენ და ერთფეროვან როლებს უჩიოდა და ჟურნალისტებს „ეპოქის სექს-სიმბოლოს ტიტულის“ მინიჭებისთვის ეომებოდა. დიახ, ის, რაც ბევრი კინოვარსკვლავის პატივმოყვარეობას დააკმაყოფილებდა, მისთვის შეურაცხმყოფელი და მიუღებელი იყო.

„მთელი ცხოვრების მანძილზე გარშემომყოფთა ყურადღების ცენტრში ვიმყოფებოდი და საკუთარ თავს არ ვეკუთვნოდი. შესაძლოა, ვინმეს მოსწონს კიდეც პოპულარობის მონად ყოფნა, მაგრამ მე ყველაფერი მომბეზრდა. ახლა მინდა პროფესიონალი ფოტოგრაფის კარიერა დავიწყო... დიდხანს ვსწავლობდი და მხატვრობა და მომღერლობა მსურდა, მაგრამ შემთხვევის წყალობით მსახიობი გავხდი. ახლა საშუალება მეძლევა იმ საქმიანობას მივყო ხელი, რაც ყოველთვის მინდოდა“, – განაცხადა ლოლობრიჯიდამ 1972 წელს.

ფოტოგრაფიის გარდა ჯინამ კოსმეტიკურ ბიზნესსაც მოჰკიდა ხელი, მაგრამ ძირითად დროს მაინც სამხატვრო სახელოსნოსა და ფოტოაპარატით მსოფლიოს გარშემო მოგზაურობას უთმობდა. მის ყველაზე სახელგანთქმულ ნამუშევრებს შორის სალვადორ დალის, პოლ ნიუმენის, ფიდელ კასტროსა და 1990 წლის მსოფლიოს ჩემპიონის – გერმანიის ფეხბურთელთა ნაკრები გუნდის წევრთა ფოტოსურათებს შეხვდებით.

დღეს სახელგანთქმული მსახიობი 76 წლის გახლავთ, მაგრამ ადამიანს ენა არ მოუბრუნდება, მას ხანდაზმული უწოდოს, რადგან ძველებურად აქტიური და მომხიბვლელია, ჰყავს ვაჟი მილკო და შვილიშვილი დიმიტრი მილკო.

ერთხელ ჯინას წამოსცდა:

– ჩემი მსახიობობა შეცდომა იყო!

შესაძლოა, ასეცაა, მაგრამ რა ბედნიერებაა, რომ ცხოვრებაში ასეთი შესანიშნავი შეცდომები ხდება.

**მოამზადა**
**მანანა იმესაშვილმა**

ინდექსი 76178

ფასი სახელშეკრულებო

ყრ 24/7
ეროვნული ბიბლიოთეკა



● მაკა ასათიანი „დაიმლერ კრაისლერის“ ერთერთ ხელმძღვანელთან ჰერბერტ მიულერთან საქმიან ვახშამზე



